ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

სამშაბათი, 22 მაისი, 2018 №119 (7664) ფასი: 50 თეთრი

## პირი, რომელიც ინგა გრიგოლიას ემუქრებოდა, დაკავებულია

გვ.7





48 წლის რ.ნ.-ს 2 წელი ემუქრება

22 მაისიდან

ნაიო მარში
**კაცი იწვა მკვდარი**

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# რატომ აითვალწუნა ივანიშვილმა კვირიკაშვილი

გვ.2





თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილს სასტიკად აღიზიანებს, როდესაც მის ზურგს უკან ხდება საქართველოში ბიზნეს გარიგებები და ფულის ტრიალი“



## „საქართველო რუსეთის მიმართ ისრაელივით უნდა მოიქცეს“

გვ.5



რას ფიქრობს ებრაელი ექსპერტი საქართველო-რუსეთის დიალოგის შესაძლებლობაზე

## სერგო რატიანი: „ცენზურის დაკანონებას ვერ შევეგუებით“

გვ.3







## საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში, ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობას გაეცნო



გვ.5

სამართალი გვ.7

## ბათუმის საავადმყოფოში 4 წლის ბავშვი გარდაიცვალა — მას თუთა ჰქონდა ნაჭამი





## მთავარმა პროკურატურამ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი დააკავა

ეკონომიკა გვ.6

## 2017 წელს უმუშევრობის დონე მინიმალურად, მაგრამ მაინც შემცირდა



## „გაყიდვები 10%-ით შემცირდება“ — როგორ იმოქმედებს სებ-ის ახალი რეგულაცია ტექნიკის ბაზარზე





## თემურ ჭყონია ბაკურიანში მსოფლიო ბრენდის სასტუმროს მშენებლობას გეგმავს

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 წულუკიანი: „აფხაზებსა და ქართველებს ერთი წარსული გვაქვს, წყვეტა ურთიერთობებში დროებითია“

4 თემურ ჯანაშია: „პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პროკურატურის დაკვეთა შეასრულა“

3 მაიკ პომპეო: „აშშ მოუთმენლად ელის ერთ დღეს საქართველოს მიღებას ნატოს რიგებში“

2 ოპოზიცია „საქსტატს“ უნდობლობას უცხადებს

# რატომ აითვალწუნა ივანიშვილმა კვირიკაშვილი

## თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილს სასტიკად აღიზიანებს, როდესაც მის ზურგს უკან ხდება საქართველოში ბიზნეს გარიგებები და ფულის ტრიალი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, გამოჩნდა ახალი ლიდერი გიორგი გახარია. მან აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. რამდენად არის გახარია ბიძინა ივანიშვილის ახალი რჩეული?***

– რა თქმა უნდა, არის. მისი რჩეული რომ არ ყოფილიყო და, რომ არ ჰქონოდა სერიოზული მხარდაჭერა ივანიშვილის, ასე თამამად ვერ გამოჩნდებოდა და ასე თამამ განცხადებებს ვერც გააკეთებდა. გახარია პირველად 2012 წლის არჩევნების წინ შევარჩიე და თვალში მომხვდა, როგორც ძალიან გონიერი ადამიანი. როგორც ვიცით, ორი კანდიდატურა განიხილება პრემიერ-მინისტრობის...

***– ვინ და ვინ?***

– გახარია და ბახტაძე. მართალი გითხრათ, ბახტაძე ჯერჯერობით ისე კარგად ვერ ჩანს. ისე ვერ იჩენს თავს, როგორც გახარია, ეს აშკარაა. გახარია, მით უმეტეს, ამ კრიზის კვალობაზე, გაძლიერდა და გამოიკვეთა, როგორც ლიდერი.

***– ბახტაძე ჩააჩოჩა გახარიამ?***

– ბახტაძე ჯერჯერობით ვერ დაფიქსირდა, როგორც პოლიტიკური ფიგურა. ის აკეთებს განცხადებებს მხოლოდ ბანკების წინააღმდეგ და ამით შემოიფარგლება. შესაბამისად, რომც მოინდომოს ივანიშვილმა, რომ ბახტაძეს ჩააბაროს მთავრობა, ეს არ იქნება ასე მარტივი, იმიტომ, რომ პრაქტიკულად მას მოსახლეობა არ იცნობს, გახარია კი გამოჩნდა და მოწონება დაიმსახურა, მათ შორის ოპონენტებში და ეს უკვე სერიოზული თემაა.

***– საუბარია, რომ კვირიკაშვილის ბედი უკვე გადაწყვეტილია და ის მალე წავა. როდის იქნება ეს მალე, არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ? რა ურჩევნია ივანიშვილს, არჩევნებამდე განაახლოს გუნდი თუ მას შემდეგ?***

– ეს რთული სათქმელია. თუ ივანიშვილი არჩევნებისთვის ელოდება სიტუაციის გართულებას, მაშინ ურჩევნია, რომ გახარია ჰყავდეს, იმიტომ, რომ გახარია ბევრად უფრო ძლიერ ლიდერად წარმოჩინდა და თუ ელოდები გართულებებს, მაშინ, ცხადია, გახარიასნაირი ლიდერი გირჩევნია.

***– გართულებაში რას გულისხმობთ?***

– მაგალითად, სააკაშვილს. თუ ივანიშვილი მსგავს სცენარებს არ ელოდება, მაშინ შეუძლია მშვიდად ჩაატაროს ეს არჩევნები და მერე შეცვალოს პრემიერი. კვირიკაშვილი ასე თუ ისე მაინც ლიდერობს რაღაც რაღაცების წყალობით.

***– კერძოდ, რისი წყალობით?***

– ვგულისხმობ იმას, რომ ის აშკარად მოსწონთ დასავლეთში. გაწონასწორებული, კონსტრუქციული და დალაგებული ლიდერის იმიჯი აქვს.

***– დასავლეთში რომ მოსწონთ კვირიკაშვილი, ივანიშვილმაც სწორედ ამიტომ აითვალწუნა. რას იტყვით თქვენ? რატომ გაირბინა მათ შორის შავმა კატამ?***



– არა მგონია, ამიტომ აეთვალწუნებინა. უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ კვირიკაშვილი გაეხვა შიდა ეკონომიკურ ბიზნესსქემებში და სწორედ ამის გამო აითვალწუნა იგი ივანიშვილმა, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ.

***– ერთი იყო უცნობთან დაკავშირებული სქემა, რომელიც მთელმა საზოგადოებამ გაიგო. არის კიდევ რამე?***

– ფაქტია, რომ ის გახვეულია ამ სქემებში და ეს ივანიშვილს არ მოსწონს. რაღაცები მოხდა ივანიშვილის ზურგს უკან. ივანიშვილს სასტიკად აღიზიანებს, როდესაც მის ზურგს უკან ხდება საქართველოში ბიზნესგარიგებები და ფულის ტრიალი. პირველ რიგში ის ბიზნესმენია, თან ბიზნესმენი, რომელიც, ამავდროულად, აკონტროლებს სახელმწიფოს. მას არ უნდა, მსგავსი საკითხები მის ზურგს უკან წყდებოდეს.

***– თავადაც აქტიურად დაბრუნდა, ახლა უკეთ შეძლებს სიტუაციის გაკონტროლებას?***

– ცხადია, რომ ყოველდღიურ რეჟიმში გახდა საჭირო სიტუაციის მართვა, თუნდაც პარტიაში მიმდინარე პროცესების მართვა, ასე რომ არ ყოფილიყო, არ დაბრუნდებოდა. არანაირი კომფორტი არ არის მისთვის პარტიის მართვა. მისთვის კომფორტია ოჯახურ წრეში ყოფნა. ეს კომფორტი დაარღვია თვითონ, რადგან ამის საჭიროება გაუჩნდა.

***– ვინ იქნება „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი?***

– ეს ძნელი სათქმელია ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ „ოცნებას“ ძლიერი და გამორჩეული ფიგურა არ ჰყავს. ლოგიკურად უნდა ყოფილიყო კვირიკაშვილი, მაგრამ კვირიკაშვილი აშკარად აღარ გამოდის. ვის დაასახელებენ, ვინ ჰყავთ გამორჩეული ფიგურა?! არც არავინ! ერთადერთი ივანიშვილი თუ დაასახელებს თავის თავს. დანარჩენი, თუ ვინ შეიძლება დასახელდეს, წარმოდგენაც კი არ მაქვს.

***– უშვებთ იმას, რომ ივანიშვილი გახდეს პრეზიდენტი?***

– პრინციპში ეს გამორიცხული არ არის. ეს კარგი იქნება ქვეყნისთვის, რადგან ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი ადამიანი დაიკავებს პრეზიდენტის სავარძელს. დასრულდება მაინც ეს არაფორმალური მმართველობა, რომელიც მახინჯი მოდელია მმართველობის და არაეფექტურს ხდის მთავრობის მუშაობას. მთავრობა კი აგებს პასუხს ადამიანთან, რომელიც თვეში ერთხელ შეიძლება ეკონტაქტებოდეს მთავრობის მეთაურს. ეს არ არის მარტივი.

***– ზედმეტი თავის ტკივილი არ იქნება მისთვის პრეზიდენტობა?***

– მისთვის ნამდვილად არის თავის ტკივილი, მაგრამ ქვეყნისთვის კარგი იქნება, როდესაც ოფიციალური სტატუსი აქვს ადამიანს, რომელიც რეალურად მართავს ქვეყანას.

***– თუკი ივანიშვილის კანდიდატურა დასახელდება, ოპოზიციას ყველანაირი შანსი ესპობა?***

– ოპოზიციას ერთადერთი შანსი მაშინ აქვს, თუ სააკაშვილი შეძლებს ჭადრაკის მაგიდის აყირავებას. სხვა შანსი ოპოზიციას ამ არჩევნებში არ აქვს.

***– როგორ უნდა ააყირავოს?***

– სააკაშვილს ბევრჯერ აუყირავებია სიტუაცია, ეს ყველამ ვიცით და ისევ თავის სტილში რომ ააყირავოს. მეორე საკითხია და უფრო მთავარი, რამდენად სჭირდება ქვეყანას მსგავსი სცენარის განვითარება და საჭადრაკო დაფის აყირავება. ეს ქვეყნისთვის სერიოზული პრობლემაა.





# წულუკიანი: „აფხაზებსა და ქართველებს ერთი წარსული გვაქვს, წყვეტა ურთიერთობებში დროებითია“

აფხაზებსა და ქართველებს ერთი წარსული გვაქვს, წყვეტა ურთიერთობებში, რაც დღეს შეიძლება ოკუპაციის გამო გვქონდეს, დროებითია, – ეს განცხადება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა.

საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში აფხაზებისა და ქართველების მშვიდობიანი თანაცხოვრებისადმი მიძღვნილი გამოფენა – „ჩვენ ერთად ვართ“ გაიხსნა. ღონისძიებას იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი ესწრებოდა.

– ჩვენ, იუსტიციის სამინისტრო ეროვნული არქივის ამ საგამოფენო სივრცეში ვმასპინძლობთ უმნიშვნელოვანეს და საინტერესო გამოფენას, ეს არის ქართველები და აფხაზები, აფხაზები და ქართველები ერთად იმის საჩვენებლად, რომ ჩვენ გვაქვს ერთი წარსული, რომ ის დროებითი წყვეტა ურთიერთობებში, რაც დღეს ჩვენ შეიძლება გვქონდეს ოკუპაციის გამო, არის დროებითი, რომ ჩვენ მომავალიც გვექნება ერთი. ამის სიმბოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით ვართ მასპინძლები ამ გამოფენისა, რომელიც ფოტომასალით აჩვენებს აფხაზებისა და ქართველების მრავალი ათეული წლების ურთიერთობას, იქნება ეს ხელოვნების თუ სახელმწიფო დარგში.



ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოფენას იმ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზები ესწრებიან, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებს. ესეც იმის სიმბოლოდ, რომ ჩვენ მალე გავერთიანდებით და ვიცხოვრებთ ერთ სახელმწიფოში, რომელიც ევროპული და ძლიერი სახელმწიფოა, სადაც ყველას უფლებები არის თანაბრად დაცული, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

# ოპოზიცია „საქსტატს“ უნდობლობას უცხადებს

ოპოზიცია სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს უნდობლობას უცხადებს. ოპოზიციის წევრები აცხადებენ, რომ სხვადასხვა მანიპულაციის საშუალებით საქსტატი ცდილობს, რეალური მონაცემების გადაფარვას და ის მმართველი გუნდის დაკვეთას ასრულებს.




– არ არის სანდო ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის სტატისტიკა, არც ინფლაციის სტატისტიკა, ყოველთვის ისინი მოქმედებენ მთავრობის სასარგებლოდ და უნდათ, პოლიტიკური ქულები ჩაუწერონ მათ და ჩვენ შემოვალთ კანონპროექტით, რომ სტატისტიკის სამსახური დაექვემდებაროს პარლამენტს, რათა ასეთი მანიპულაციები შეწყდეს. ეს არის ულოგიკო, ვინაიდან ინფორმაცია ეყრდნობა შსს-ის საზღვრის გადაკვეთას, მეთოდიკა წინაც და ახლაც არის ერთი და იგივე, ამით მათ უნდათ, მიჩქმალონ ის პროცესი, რაც შეიმჩნევა ბოლო 6 წლის განმავლობაში, ტოვებს საქართველოს ხალხი, – აცხადებს „ენმ“-ს ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე.

– საქსტატმა ძალიან გამართულად უნდა აუხსნას საზოგადოებას ქვეყანაში დაბრუნებულთა ან წასულთა რიცხვი, როგორ შეიცვალა, რა მნიშვნელობა აქვს საერთო რაოდენობას მოსახლეობის. შეიძლება დაბრუნებულთა და წასულთა პროცენტული გაანგარიშება შეიცვალოს, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ 3 მილიონ 700 ათასი ვართ თუ 4 მილიონ ნახევარი. როგორც კი ჩვენი სხვადასხვა მაჩვენებელი, იქნება ეს დემოგრაფიული თუ ეკონომიკური მაჩვენებლები, უარესდება და „ქართული ოცნების“ პირობებში ეს ნამდვილად უარესდება, ისინი იმ წუთას იწყებენ ერთგვარ მანიპულაციას, რომ თურმე ძველ რიცხვებს თუ ახალი მეთოდოლოგიით გადავიანგარიშებთ, რაღაც სხვა სურათი გამოდის, ამით კიდევ უფრო აბნევენ საზოგადოებას, – აცხადებს საპარლამენტო უმცირესობა „ევროპული საქართველოს“ წევრი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სერგო რატიანი: „ცენზურის დაკანონებას ვერ შევეგუებით“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი **სერგო რატიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ეკა ბესელიასა და ლევან გოგიჩაიშვილის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე საუბრობს.



***— ბატონო სერგო, თქვენი პარტია განცხადებას ავრცელებს ბესელია-გოგიჩაიშვილის ავტორობით შექმნილ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც „კულტურის შესახებ“ კანონში და „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“ შესატან ცვლილებას ეხება. ბევრი შეფასება მოვისმინე, რომ ეს არის საბჭოური ტიპის ცენზურის დაბრუნება და ა.შ. თქვენ მოუწოდებთ ხელისუფლებას, რომ კანონპროექტი არ მიიღოს. რა საფრთხეებს ხედავთ?***

— სრულიად უცნაურია, რომ 21-ე საუკუნეში მმართველი პარტია მიდის იმ მიმართულებით, რომ ფაქტიურად ცენზურას აკანონებს ქვეყანაში. ფაქტიურად ცენზურას უწესებს შემოქმედებას. ეს არის საბჭოთა ტრადიცია, ეს არის ტრადიცია, რომელიც შეიძლება ჰქონოდათ იმპერიებს მე-19 საუკუნეში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში 21-ე საუკუნეში დემოკრატიის პრეტენზიის მქონე ქვეყანას. ამიტომ, ჩვენ ღიად ვაცხადებთ, რომ ამ მიმართულებით სვლა სახიფათო არის ქვეყნისთვის და დემოკრატიისთვის ფრიად საზიანო.

***— დემოკრატიულ პროცესს შეაფერხებს თუ კანონად იქცა?***

— ამაზე საერთოდ ლაპარაკიც კი ზედმეტია. რასაკვირველია, თუ ეს კანონპროექტი მიიღო პარლამენტმა, მაშინ დემოკრატიულ განვითარებას შეაფერხებს. ანომალიურია ასეთ რამეზე ფიქრიც კი, არათუ დაკანონება. ეს იქნება სამარცხვინო ლაქა ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ დასჭირდა სახელისუფლო გუნდს მსგავსი კანონპროექტის ინიცირება, რასთან შეიძლება კავშირში იყოს? ზოგი წინასაარჩევნო პერიოდსაც კი უკავშირებს.***

— მე ვერ გეტყვით, ვინ რას უკავშირებს მსგავს ინიციატივებს, მაგრამ მე გეუბნებით, რა შედეგი შეიძლება ამან მოგვიტანოს, მოუტანოს სახელმწიფოს. ეს იქნება საზიანო ჩვენი ქვეყნისთვის. თუ „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ ადამიანების გარკვეულ რაოდენობას ასეთი კანონპროექტებით მიიმხრობენ ან ვიღაცას გულს უკეთებენ ამით, მე ვეუბნები, რომ ეს ფრიად საზიანო არის ქვეყნისთვის და მისი იმიჯისთვის, ძალიან დააზიანებს ჩვენს მომავალს.

***— ბესელია აცხადებს, რომ კონსტიტუციასთან ჰარმონიაში მოჰყავთ გარკვეული მუხლი. ასე არ არის?***

— როგორ შეიძლება წარდგენილი კანონპროექტი რაიმესთან ჰარმონიაში მოდიოდეს, როგორ შეიძლება ასეთი ინტერპრეტაცია მოხდეს ამ კანონპროექტის, რომელიც პირდაპირ ცენზურას გვიწესებს.

ეს კანონპროექტი სასამართლოს საშუალებას მისცემს კანონის ფართო და რაღაც ჩანაწერს დაეყრდნოს და ადამიანებს შემოქმედებითი თავისუფლება შეუზღუდოს. ეს იქნება მძიმე დარტყმა გამოხატვის თავისუფლებაზე.

***— რელიგიურ გრძნობებზე, მათ შელახვაზე არის საუბარი, როგორც კანონპროექტის ავტორები აცხადებენ.***

— დღეს საქართველოს საკანონმდებლო ბაზა და კონსტიტუცია ტოვებს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ შემოქმედებითი ნაწარმოები პირადად ლახავს რომელიმე ადამიანის უფლებას. ამ კანონპროექტით კი ჩნდება სხვა ჩამონათვალი, სხვა ლეგიტიმური მიზნები, როცა შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. ამიტომ არის, რომ ჩვენ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, უარი თქვას ამ კანონპროექტის მიღებაზე.

***— როგორი განწყობაა პარლამენტში?***

— მე იმედი მაქვს, რომ ეს კანონპროექტი კანონად ვერ იქცევა და მას ადამიანები 21-ე საუკუნეში მხარს არ დაუჭერენ. თუმცა, ვერ გეტყვით, რა არის ჩანაფიქრი, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, არ ვიცი, რა საჭიროება დადგა მსგავსი კანონპროექტის ინიცირების, ამიტომ არ მინდა, ამაზე ვიმარჩიელო.

***— როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, შეიძლება უკან გაიწვიონ?***

— არ ვიცი, მოვლენათა რა სცენარს ვიხილავთ და რა მოხდება, გაიწვევენ თუ არა კანონპროექტს თუ პირიქით, მსვლელობა მიეცემა, შეიძლება ეს ბევრ რამეზე იყოს დამოკიდებული.

***— რამდენად არის მოსალოდნელი ხელოვანების პროტესტი?***

— უკვე არის სერიოზული პროტესტი. ბევრი ადამიანი უკვე ამ ინიციატივას აპროტესტებს და მის სრულიად მიუღებლობასა და დაუშვებლობაზე საუბრობს. თუმცა, რა სახეს მიიღებს ეს პროტესტი, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

***— შეიძლება ღრმა პოლიტიკური პროცესის სახეც კი მიიღოს?***

— მე ერთი რამე ვიცი და დარწმუნებული ვარ ამაში, რომ ამ კანონპროექტის არსებობას, არათუ მის დაკანონებას, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი გააპროტესტებს. რამდენად მწვავე იქნება ეს პროტესტი და რამდენად არ იქნება მწვავე, ამაზე დღეს ვერ ვისაუბრებ. თუმცა, გარწმუნებთ, ადამიანები მსგავს რამეს, 21-ე საუკუნეში ცენზურის დაკანონებას, უბრალოდ, ვერ შეეგუებიან.





# მაიკ პომპეო: „აშშ მოუთმენლად ელის ერთ დღეს საქართველოს მიღებას ნატოს რიგებში“



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მტკიცედ უჭერს მხარს ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილებას.

როგორც პომპეომ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები მოუთმენლად ელის ერთ დღეს საქართველოს მიღებას ნატოს რიგებში.

— ჩვენი გადაწყვეტილება ურყევია. პრეზიდენტი ტრამპი მტკიცედ უჭერს მხარს ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილებას და ამერიკის შეერთებული შტატები მოუთმენლად ელის ერთ დღეს საქართველოს მიღებას ნატოს რიგებში. ჩვენს დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილავთ ყველა იმ ასპექტს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ეროვნულ უსაფრთხოებას, დინამიკურ ეკონომიკას და დემოკრატიას, — განაცხადა პომპეომ.

მისივე თქმით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საერთო ინტერესების დაცვის საქმეში ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო ეყრდნობიან ძლიერ, მოქმედებისთვის მზად მყოფ და თავდაცვისუნარიან პარტნიორებს.

— საქართველო სწორედ ასეთი პარტნიორია, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი მზადყოფნა, წვლილი შეიტანოს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში და დაიცვას დასავლური ღირებულებები. საქართველო არის ნატოს არაწევრ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი ავღანეთის მისიაში. ისინი თავდაუზოგავად ასრულებენ ამ მოვალეობას. 32-მა ქართველმა მებრძოლმა თავი შესწირა იქ მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეს.

ამერიკის შეერთებული შტატები პატივს მიაგებს საქართველოს მსხვერპლს და ჩვენ უდიდეს მადლობას მოგახსენებთ საქართველოს სიმტკიცისთვის ამ მნიშვნელოვან ერთობლივ მისიაში. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო განაგრძობენ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, მათ შორის თანამშრომლობას გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლაში, საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტი მებრძოლების შემოჭრის და სახიფათო ბირთვული მასალების კონტრაბანდის აღკვეთის საქმეში. 2016 და 2017 წლებში საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ევროატლანტიკური არჩევანი, მომავალში საქართველოს ნატოში გაწევრიანების ჩათვლით, — განაცხადა პომპეომ.

* * *

— წლევანდელი წელი კიდევ ერთი მიზეზით არის მნიშვნელოვანი. 2018 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრიდან 10 წელი სრულდება. ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრად გმობს რუსეთის მიერ საქართველოს მიწების ოკუპაციას. რუსეთის მხრიდან ძალისმიერი მეთოდებით საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრა ცალსახად არღვევს საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას და ეწინააღმდეგება გაეროს ქარტიის და ჰელსინკის დასკვნითი აქტის ძირეულ პრინციპებს.

რუსეთის მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების ფარგლებში აღებული ყველა ვალდებულება — გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, უარი თქვას საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებაზე და უზრუნველყოს ორივე რეგიონის შეუფერხებელი წვდომა ჰუმანიტარულ დახმარებაზე, — განაცხადა სახელმწიფო მდივანმა.

# გიორგი კვირიკაშვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს — მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას საქართველოში

— აშშ-ის დახმარებით, საქართველო მსოფლიოში ინვესტირებისა და ბიზნესის წარმოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ ქვეყანად იქცა. ეკონომიკური ტრანსფორმაცია და განათლება კიდევ ერთი სფეროა, რომელშიც ჩვენ გვაქვს აშშ-ის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან, მაიკ პომპეოსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, აშშ-ის დახმარებით, საქართველო იქცა მსოფლიოში ინვესტირებისა და ბიზნესის წარმოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ ქვეყანად.

— დღეს, როდესაც ჩვენ გადავდივართ ჩვენი ურთიერთობების ახალ ეტაპზე, ჩვენ ვხედავთ ორმხრივი კავშირების გაღრმავების მნიშვნელოვან პოტენციალს.

აშშ-ის კერძო ინვესტიციები ისეთ პროექტებში, როგორიცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, კიდევ უფრო განამტკიცებს ამერიკის სტრატეგიულ ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში. როგორც ევრაზიის კარიბჭე, რომელსაც აქვს უმნიშვნელოვანესი და უნიკალური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ქსელი ევროკავშირიდან ჩინეთამდე, რასაც ემატება აშშ-ის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებათა ქსელი, საქართველო წარმოადგენს იდეალურ ბაზას, საიდანაც ამერიკული ბიზნესი დაიმკვიდრებს ადგილს მთლიანად რეგიონში.

საქართველო არის მსოფლიოში იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, რომლებსაც აქვთ აუცილებელი ინსტიტუტები, სტრატეგია და ბიზნესგარემო ამერიკის შეერთებულ შტატებთან ყოვლისმომცველი და სამართლიანი სავაჭრო შეთანხმებისთვის. ჩვენს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, როგორც ამას „პრაისვოთერჰაუსკუპერსის“ (PricewaterhouseCoopers) უახლესი კვლევა ცხადყოფს, 5 წლის განმავლობაში ამერიკული პროდუქციის ექსპორტი შეიძლება გაიზარდოს 360%-ით, რის შედეგადაც აშშ-ში შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

„ბატონო მდივანო, სამომავლო თანამშრომლობის პოტენციალი ორივე ქვეყნისთვის უდიდესია და მე იმედით შევყურებ თქვენთან თანამშრომლობას ყველა მიმართულებით, რომლებიც შედის ამერიკელი და ქართველი ხალხის ინტერესებში“ -განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

* * *

— ბატონო მდივანო, სამომავლო თანამშრომლობის პოტენციალი ორივე ქვეყნისთვის უდიდესია. მე იმედით შევყურებ თქვენთან თანამშრომლობას ყველა მიმართულებით, რომლებიც შედის ამერიკელი და ქართველი ხალხის ინტერესებში.

მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას საქართველოში, — მიმართა კვირიკაშვილმა პომპეოს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა. კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ პომპეოს მიზანდასახულობა და ენთუზიაზმი კიდევ უფრო გააღრმავებს აშშ-საქართველოს მჭიდრო პარტნიორობას.

— გმადლობთ, ბატონო მდივანო პომპეო, ძალიან თბილი სიტყვებისთვის. მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მიღებული თქვენი გადაწყვეტილებისთვის ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის პლენარული სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით. ნება მომეცით, მოგილოცოთ ამ თანამდებობაზე დანიშვნა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შეერთებული შტატებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მიზანდასახულობა და ენთუზიაზმი კიდევ უფრო განამტკიცებს მსოფლიოში აშშ-ის მტკიცე ლიდერობას და კიდევ უფრო გააღრმავებს აშშ-ის და საქართველოს მჭიდრო პარტნიორობას, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

# სამშენებლო კომპანიებმა გორის და კასპის მერებს შესყიდვების სააგენტოში უჩივლეს

საგზაო სამშენებლო კომპანიებმა „სეივ როუდმა“, „კომბესტ ჯეომ“ და „ადროიტმა“ კასპის და გორის მუნიციპალიტეტების მერებს „დისკრიმინაციული მიდგომისა და კორუფციული რისკების“ გამო შესყიდვების სააგენტოში უჩივლეს. კომპანიების ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მუნიციპალიტეტების მიერ გზების მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერები კონკრეტული ორგანიზაციის ინტერესებზეა მორგებული.



„სეივ როუდის“ საჩივარი ეხება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმდებარე სოფელ ქვემო ხვითში გამოცხადებულ ტენდერს, სადაც გზის მოასფალტებისთვის 682 500 ლარია გამოყოფილი. გორის მერია ითხოვს, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შესაბამისი ტექნიკის ნახევარი საკუთრებაში ჰქონდეს.

– თუ ჩვენს ორგანიზაციას აქვს შესაბამისი გამოცდილება და შესრულებული აქვს სატენდერო ფასზე მეტი ღირებულების ობიექტი, რატომ უნდა გააჩნდეს მოთხოვნილი ტექნიკის 50% საკუთრებაში? ანუ რომელიღაც ორგანიზაციას საკუთრებაში ჰყავს აღნიშნული ტექნიკა და იმაზეა მორგებული წინამდებარე ტენდერი? თუ მე დაქირავებული ტექნიკით ვასრულებ 2.000.000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებს, რატომ ვერ შევასრულებ წინამდებარე ობიექტს დაქირავებული ტექნიკით?

ეს მოთხოვნა ქმნის არაჯანსაღი კონკურენციის პირობებს. თუ გადავხედავთ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აპრილსა და მაისში ჩატარებულ ტენდერებს, ნათელია თუ რა ფასში და რომელი ორგანიზაციები იგებენ საგზაო სამშენებლო სამუშაოებს.

ვითხოვთ, რომ შეიცვალოს ჩანაწერი და საკუთრების ნაცვლად ჩაიწეროს სარგებლობა, რადგანაც იჯარით, ან ქირავნობით აღებული ქონებაც მოემსახურება ობიექტს, – ციტირებს შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი კომპანია „სეივ როუდის“ დირექტორის კარენ ოვსეპიანის კომენტარს.

შესყიდვების სააგენტომ გორის მერიას განმარტება მოსთხოვა და გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

ანალოგიური შინაარსის საჩივრით კომპანია „სეივ როუდმა“ კასპის მერიის წინააღმდეგაც მიმართა შესყიდვების სააგენტოს. საქმე ეხება საკორინთლო-ახალშენას 1,8 მილიონიან ტენდერს. ამ თანხით 2,7 კილომეტრიანი გზის მოასფალტება უნდა მოხდეს. კასპის მერია ითხოვს, რომ გამარჯვებულ კომპანიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ავტოგრეიდერი, ექსკავატორი, პნევმატური და გლუვვალციანი სატკეპნები.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ უკვე წააგო დავა კომპანია „ადროიტთან“. კომპანიამ კასპის მერს შესყიდვების სააგენტოში იმიტომ უჩივლა, რომ მერი მანუჩარ მერებაშვილი 2018 წლის 1-ელი თებერვლიდან ითხოვდა, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მუშახელის 70% კასპის მუნიციპალიტეტის მცხოვრები ყოფილიყო. ეს მოთხოვნა მილიონიანი პროექტის სატენდერო პირობებში ეწერა, რომლითაც ქალაქის სამ დიდ ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობაა დაგეგმილი. „ამით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება რომელიმე ადგილობრივი კომპანია, რომელსაც მეტი ადგილობრივი მკვიდრი ჰყავს დასაქმებული, გარდა ამისა, აძვირებს პერსონალის დაქირავების ხარჯებს, – აცხადებდა კომპანია „ადროიტის“ იურისტი.

შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილებით, მერს არ აქვს უფლება ჩაერიოს კომპანიის შიდა და საკადრო საკითხებში, რის გამოც კასპის მერიას ყველა იმ ტენდერის გაუქმება მოუხდა, სადაც ეს დისკრიმინაციული მოთხოვნა იყო.

კასპის მერიას შესყიდვების სააგენტოში უჩივლა კომპანია „კომბესტ ჯეომაც“. კასპის მერიის გადაწყვეტილებით, გურამიშვილისა და ხეთაგუროვის ქუჩებზე საკანალიზაციო ქსელის მოსაწყობად ქუჩები ექსკავატორით უნდა გადათხრილიყო. „კომბესტ ჯეოს“ საჩივრის თანახმად, მერიამ უარი თქვა სამუშაოების ალტერნატიულ, თანამედროვე მეთოდზე, რომლითაც, მილსადენების გაყვანა ქუჩების გადათხრის გარეშე იქნებოდა შესაძლებელი. შესყიდვების სააგენტომ კასპის მერიას დაავალა სატენდერო მოთხოვნებს გადახედოს.

**რეგინფო**

# პაციენტებისთვის უფასო იურიდიული დახმარების პროგრამა იწყება

ფსიქიკური აშლილობის, ინტელექტუალური და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და პალიატიური მზრუნველობის ქვეშ მყოფი პაციენტებისთვის ღია საზოგადოების ფონდი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია უფასო იურიდიული დახმარების პროგრამას იწყებენ.

უფასო იურიდიული დახმარება გულისხმობს როგორც იურიდიული კონსულტაციების გაწევას სამედიცინო მომსახურების მიღების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად, ასევე დაზარალებულის ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას სასამართლოში.

პაციენტებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მაღალკვალიფიციური ათი ადვოკატი მოემსახურება მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ისინი დამატებით გაივლიან ტრენინგს შეზღუდულ შესაძლებლობებთან, პალიატიურ მზრუნველობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

1 ივლისს პაციენტთა მომსახურების ცხელი ხაზი ამუშავდება. ამავე პერიოდიდან გახდება მომსახურების მიღება შესაძლებელი იმ პაციენტებისთვის, რომლებიც მომსახურების კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებმა (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა) და ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით, პაციენტის უფლებებზე მომუშავე ცხელ ხაზზე შემოსულმა ზარებმა და მომართვიანობამ ნათლად წარმოაჩინა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები სამედიცინო სფეროში. კერძოდ: პაციენტის უფლებების ცხელი ხაზის პროექტის განხორციელებისას მიღებული მონაცემების ანალიზით, მოქალაქეთა პრობლემის და მომართვების 93% ეხებოდა სამედიცინო სერვისების მიღების დაფინანსებას და პრობლემებს სერვისების მიღების დროს, სამედიცინო პერსონალის მხრიდან კონფიდენციალობის დარღვევის, ინფორმირებული თანხმობის არარსებობის და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების ხელმიუწვდომლობის შემთხვევებს.



2000 წლიდან დღემდე, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებულ იქნა 17 კანონი და ათასამდე ნორმატიული აქტი, რომლის მიზანია ერთი მხრივ სფეროს მოწესრიგება და მეორე მხრივ, პაციენტის უფლებების დაცვა, თუმცა, მიუხედავად ასეთი კანონების არსებობისა, ქვეყანაში არ არის განვითარებული სამოქალაქო თუ სოციალური ადვოკატირება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის – პალიატიური მზრუნველობის საჭიროების პაციენტებისთვის და შეზღუდული (ფიზიკური და მენტალური) შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ოპიოიდების დანიშვნასა და გამოწერაზე უფლებამოსილ ექიმთა მხოლოდ 33-38% იცნობს ოპიოიდების მარეგულირებელ კანონმდებლობას, პრაქტიკაში კი მხოლოდ 18-23% იყენებს. აღნიშნული მნიშვნელოვნად არღვევს პაციენტის უფლებას, იცხოვროს ტკივილის გარეშე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას, ხელი არ მიუწვდებათ ჯანდაცვის სერვისებზე და ხშირ შემთხვევაში ვერ სარგებლობენ ჯანდაცვის სერვისებით.

**რეგინფო**

# სარფში ეკლესიის გვერდით კაზინოს დახურვას ითხოვენ



მესამე დღეა ორმოცდაათამდე ადამიანი საპროტესტო აქციას მართავს სარფში და ეკლესიის გვერდით მდებარე, ახლად გახსნილი კაზინოს დახურვას ითხოვენ.

– კაზინო ეშმაკის სახლად ითვლება და არავინ დაუშვებს, რომ ეშმაკის სახლი ეკლესიის ეზოში არსებობდეს, – აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე თამაზ ბაკურიძე აჭარის ტელევიზიასთან ინტერვიუში.

– იმისთვის, რომ ინვესტორის ინტერესები არ იქნეს შელახული, ჩვენ ვთავაზობთ, რომ აქ გაიხსნას ახალგაზრდული ცენტრი. მივმართავთ ადგილობრივ ხელისუფლებას და ინვესტორს, რომ ეს მოთხოვნა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მასშტაბური აქციები დაიწყება, – აღნიშნა თამაზ ბაკურიძემ.

– ჩემთვის მიუღებელია, რომ ეკლესიაზე კაზინო იყოს გადამჯდარი, გვერდით სკოლაც შენდება. ახალგაზრდა თაობას სხვა მაგალითი უნდა მივცეთ, – ამბობს აქციის მონაწილე ზვიად უნგიაძე.

მისივე თქმით, სამორინეს ნაცვლად ახალგაზრდებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი უნდა გაიხსნას.

აქციაზე სამორინეს მუშაობის მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ადგილობრივების ნაწილი ამბობს, რომ სამორინეში ხალხია დასაქმებული და მისი დახურვის შემთხვევაში სარფის მცხოვრებლები უმუშევრად დარჩებიან.

**რეგინფო**

# 26 მაისს საქართველოს ექვსი ქვეყნის პრეზიდენტი ეწვევა




პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, გიორგი მარგველაშვილი 26 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეზე, 6 ქვეყნის პრეზიდენტსა და ევროკომისიის პრეზიდენტს უმასპინძლებს.

მათივე ცნობით, საქართველოს ლიტვის, ლატვიის, ფინეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, სომხეთის პრეზიდენტები ეწვევიან და საზეიმო ღონისძიებებს საქართველოს პრეზიდენტთან ერთად დაესწრებიან.

– ლიტვის, ლატვიის, ფინეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, სომხეთის პრეზიდენტები და ევროკომისიის პრეზიდენტი თავისუფლების მოედანზე, წვევამდელების სამხედრო ფიცის დადების ცერემონიას დაესწრებიან. პარლამენტში კი, მრგვალი მაგიდის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას – „თანამშრომლობა კეთილდღეობისათვის – მომავალი ასწლეულის სტრატეგია“.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება „კრინიცას საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი თბილისში“, რომლის მუშაობაშიც მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს, პოლონეთისა და სლოვაკეთის პრეზიდენტები და სტუმრებს სიტყვით მიმართავენ.

26 მაისს განსაკუთრებულად საზეიმოდ აღინიშნება 17:10 საათი, ზუსტად ის დრო, როდესაც 1918 წელს, ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს პრეზიდენტი სტუმრებთან ერთად თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში 100 წლის წინანდელი მოვლენის თეატრალიზებულ ინსცენირებას დაესწრება.

26 მაისს, საღამოს კი, უმაღლესი რანგის სტუმრები ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ნინო ანანიაშვილის, „სუხიშვილებისა“ და „ბასიანის“ მონაწილეობით გამართულ კონცერტს დაესწრებიან, – ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

**ნეტგაზეთი**

# თემურ ჯანაშია: „პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პროკურატურის დაკვეთა შეასრულა“





სახელმწიფო დაცვის ყოფილი უფროსი თემურ ჯანაშია აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებულ დევნაში საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც არის ჩართული.

ჯანაშიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მან გიორგი მარგველაშვილს რამდენჯერმე მიმართა და გრიფით საიდუმლოს მოხსნა სთხოვა ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 2013 წლის დეკემბრამდე გამოცემულ შესყიდვებზე, რა დროსაც სახელმწიფო დაცვის სამსახურს უკვე ანზორ ჩუბინიძე ხელმძღვანელობდა.

– პრეზიდენტი მარგველაშვილი არის პრეზიდენტი, რომელმაც შეასრულა პროკურატურის დაკვეთა, გაასაჯაროა ის დოკუმენტები, რომელიც სჭირდებოდა პროკურატურას, მხოლოდ და მხოლოდ, სისხლის სამართლებრივი დევნის დასაწყებად. არ ასაჯაროებს იმ ნაწილს საბუთების, რომლებიც საკმარისი იქნება, რომ დამტკიცდეს ამ ბრალის აბსურდულობა, – განაცხადა თემურ ჯანაშიამ.

# „საქართველო რუსეთის მიმართ ისრაელივით უნდა მოიქცეს“

## რას ფიქრობს ებრაელი ექსპერტი საქართველო-რუსეთის დიალოგის შესაძლებლობაზე

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ უმაღლეს დონეზე საქართველოსა და რუსეთის ლიდერებს შორის შეხვედრა მალე გაიმართოს.

ეს ვარაუდი არარეალურად გამოიყურება იმ ფონზე, როცა შეხვედრის მოსამზადებლად არ გაწეულა მუშაობა.

საქართველოს პრემიერისა და პრეზიდენტის განცხადებების საპასუხოდ რუსეთიდან გაისმა დაინტერესება დიალოგით, თუმცა, ისიც ითქვა, რომ შეხვედრისთვის საჭიროა მომზადება.

პრეზიდენტ მარგველაშვილის 16 მაისს სტუდენტებთან შეხვედრისას გაკეთებული განცხადება რუსეთის ლიდერთან შეხვედრის მზადყოფნის შესახებ, ბევრმა არასერიოზულად აღიქვა და ეს მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადებას დაუკავშირა. ამას მოჰყვა პრემიერ კვირიკაშვილის კიდევ ერთი გზავნილი ჟენევის მოლაპარაკებების გაფართოების შესახებ.

ამის მიუხედავად, რუსეთში გააქტიურდა საუბარი დიალოგის აუცილებლობაზე. ექსპერტების თქმით, წინა წლებში საქართველოს ხელისუფლება, მათ შორის, პრეზიდენტი მარგველაშვილი და მაშინდელი პრემიერი ღარიბაშვილი მზად არ აღმოჩნდნენ დიალოგისათვის. ამის გამო რუსეთის ხელისუფლების შემოთავაზება არ იქნა მიღებული. განცხადებები იმაზე, რომ თბილისზე ზეწოლა მოახდინა ვაშინგტონმა, არ შეესაბამება სინამდვილეს. საქართველომ ვერ გაბედა რუსეთთან დალაპარაკება, ვინაიდან, ეშინოდა, რომ ეს დააბრკოლებდა მის დაახლოებას ნატოსა და ევროკავშირთან.



ექსპერტ ავიგდორ ესკინის თქმით, რუსეთის სხვადასხვა უწყებას და თანამდებობის პირს ერთმანეთისაგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მიმართ. ამან დიალოგს ხელი არ უნდა შეუშალოს. გადამწყვეტი სიტყვა პუტინს ეკუთვნის. საქართველო, მისი აზრით, ისრაელის მსგავსად უნდა მოიქცეს – რუსეთის საგარეო უწყება ისრაელის საწინააღმდეგოდაა განწყობილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნეთანიაჰუ პუტინს წელიწადში ოთხჯერ მაინც ხვდება. ისინი სირიის საკითხზეც თანამშრომლობენ.

რუსეთთან საკუთარი პარტიის სახელით დადის და დიალოგს მართავს პატრიოტთა ალიანსი. ამაზე ბევრს ნაგატიური რეაქცია აქვს. ალიანსის საპარლამენტო ფრაქციას რუსეთის გზავნილების გახმოვანების გამო მუდმივად საყვედურობენ.

პატრიოტთა ალიანსს კარგი თვალით არც რუსეთში უყურებენ. მასთან მიმართებით მიანიშნებენ „დახმარებაზე“. რა იგულისხმება რუსეთიდან მიღებულ დახმარებაში, არ კონკრეტდება.

ესკინის სიტყვებით, დახმარების გაწევამდე ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ გაურბოდა დიალოგს რუსეთთან. იგი ამ ფრაქციას უწოდებს უცნაურს და ამბობს, რომ პარტიამ ძლივს გადალახა საარჩევნო ბარიერი, პარლამენტში მოხვედრის შემდეგ კი თავისი სრული ქმედუუნარობა დაამტკიცა. მისი დასკვნით, „პატრიოტებს“ არ მატებს ძალასა და პოპულარობას პარტიის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავის თეოლოგიური დეკლარაციები იმის შესახებ, რომ იგი ერთდროულად დავით მეფისა და მუჰამედის ჩამომავალია.

ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის გაცემული ნდობის კრედიტი იწურება. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობით იგი საბჭოთა გენმდივნის იმიჯს იმკვიდრებს.

ანალიტიკოსი წარუმატებელს უწოდებს ორი წლის წინანდელ მცდელობას საქართველოში რუსეთისთვის სასურველი ძალების მეჭიაურის გარშემო გაერთიანების თაობაზე. მისი თქმით, მეჭიაურის ხელმძღვანელობით უნდოდათ მარგინალური ჯგუფების შეკავშირება. ეს გეგმა ჩავარდა მონაწილეების ერთმანეთთან შეუთავსებლობისა და არაკომპეტენტურობის გამო. ეს ჯგუფები ივანიშვილის მონაწილეობის გარეშე არ გაერთიანებულან.

ექსპერტის აზრით, ქართულ პოლიტიკაში პერსპექტიულად გამოიყურებიან პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და ოპოზიციური „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. მის შეხვედრას პუტინთან იმაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე აბაშიძე-კარასინის ფორმატში მიმდინარე მოჩვენებით კონტაქტებს აქვს.

# საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში, ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობას გაეცნო

პარლამენტის ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს ეწვია. ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს გაეცნო.

ირაკლი სესიაშვილს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სააგენტოს უფროსმა კობა კობიძემ მიაწოდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა:

– დღეს უკვე ჩვენ ვახდენთ ნდობის ჯგუფის კანონის შესაბამისად განსაზღვრულ უფლება-მოსილებების ფარგლებში ამ უწყების საქმიანობის შემოწმებას. დღეს მქონდა საშუალება, რომ გავცნობოდი როგორც უწყების საქმიანობას და მის სპეციფიკას,



ასევე იმ ტექნიკურ შესაძლებლობებს და გამოწვევებს, რაც ამ უწყების წინაშე არსებობს. მე შემიძლია გითხრათ, რომ ზოგადად ის სტერეოტიპი, რაც არის დამკვიდრებული, რომ „ოტო“ ეს არის რაღაცა ინსტრუმენტი, რომლითაც მოსახლეობას უსმენენ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის, იმიტომ რომ ხდება ძალიან მკაცრად იმ კანონმდებლობის დაცვა, რაც გულისხმობს, რომ შესაძლებელია ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არის სასამართლოს განჩინება. ეს ერთი. მეორე – ამ სააგენტოს აქვს ძალიან სერიოზული შესაძლებლობები, რათა მოხდეს საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარება, რაც ქვეყანას სჭირდება და ეს არის ის ძირითადი სერვისი, რომლითაც სარგებლობს ფაქტობრივად ყველა სახელმწიფო უწყება, ასევე კერძო სექტორი, რაც საერთო ჯამში ხმარდება და ემსახურება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზეა დამოკიდებული როგორც ქვეყნის განვითარება, ისე ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა, ინვესტიციები, ტურიზმი და ასე შემდეგ. ამიტომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს პირველი ვიზიტი, ეს შემოწმება, და თავისთავად ცხადია ჩემს შემდეგაც კოლეგებს მიეცემათ საშუალება, რომ ამ სისტემის საქმიანობაში, მის სპეციფიკაში გაერკვნენ.

„საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ნდობის ჯგუფს სააგენტოს შემოწმების უფლებამოსილება აქვს. ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სააგენტოს საქმიანობის შემოწმების შესახებ. სააგენტოს საქმიანობის შემოწმების მიზნით ნდობის ჯგუფი ერთ წევრს არჩევს. ნდობის ჯგუფი უფლებამოსილია სააგენტოს წარუდგინოს რეკომენდაციები სააგენტოს საქმიანობის დახვეწის თაობაზე.

გარდა ამისა, კანონის მიხედვით, სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ნდობის ჯგუფს ყოველწლიურად წარუდგენს მის მიერ გაწეული საქმიანობის სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს. კანონის შესაბამისად, ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ ნდობის ჯგუფს საქმიანობის 2017 წლის ანგარიში უკვე წარუდგინა.

# კომერციულმა ბანკებმა პილარ 3-ის ფარგლებში წლიური ანგარიშები პირველად გამოაქვეყნეს




საბანკო სისტემის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის და საბაზრო დისციპლინის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, კომერციულმა ბანკებმა პილარ 3-ის ფარგლებში წლიური ანგარიშები პირველად გამოაქვეყნეს.

აღნიშნული ანგარიშების გამოქვეყნება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“ მიხედვით განხორციელდა.

ბანკების მიერ გამოქვეყნებული წლიური ანგარიშები მოიცავს კორპორაციულ მართვასთან, ანაზღაურების პოლიტიკასა და რისკების მართვასთან დაკავშირებულ ხარისხობრივ ინფორმაციას. ასევე რაოდენობრივ ინფორმაციას უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურებისა და საოპერაციო რისკების შესახებ. პილარ 3-ის წლიური ანგარიშები გამოქვეყნებულია კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებული ანგარიშები შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ კორექტირებას, რაც ასევე მითითებული იქნება მოცემულ ბმულზე.

აღნიშნული წესის ფარგლებში ბანკები უკვე აქვეყნებენ კვარტალურ ანგარიშგებებს, რომელიც მოიცავს რაოდენობრივ ინფორმაციას საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების, ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის ელემენტებისა და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შესახებ.

პილარ 3 ბაზელ III-ის რეფორმის ნაწილს წარმოადგენს და მის განახლებულ ჩარჩოზე მუშაობა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა 2015-2017 წლებში დაასრულა. საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნული ჩარჩოს მოთხოვნების ანალიზს თანმიმდევრულად ახორციელებდა.

ზემოაღნიშნული ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები შეესაბამება ბაზელის კომიტეტის განახლებული პილარ 3-ის ჩარჩოსა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ განახლებული ჩარჩოს დანერგვას ასევე მხარს უჭერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში.

**კომერსანტი**

# 2018 წლის I კვარტალში სამაცივრე მეურნეობებმა 24 მლნ. ლარის პროდუქცია გაყიდეს

2018 წლის I კვარტალში საქართველოში 40 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (25,0%) და ქ. თბილისშია (22,5%) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია შიდა ქართლში (17,5%), იმერეთის (15,0%), ქვემო ქართლის (10,0%), კახეთის (5,0%), გურიის (2,5%) და სამცხე-ჯავახეთის (2,5%) რეგიონში.



2018 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 393 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია – 187 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა 822 კაცით განისაზღვრა. 2018 წლის I კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 58,9 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 65,6% ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 14,2% პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 10,9% – თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2018 წლის I კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 1,6 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს – 3,8 მლნ. ლარი შეადგინა.

2018 წლის I კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 24,0 მლნ. ლარის ღირებულების (5,7ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (59,4%) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 91,6% მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (46,9%), თევზეული (20,9%) და ქათმის ხორცი (19,7%) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე ძირითადად ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 51,4%-ს, თებერვალში – 53,8%-ს, ხოლო მარტში – 56,8%-ს.

**კომერსანტი**

# 2017 წელს უმუშევრობის დონე მინიმალურად, მაგრამ მაინც შემცირდა



2017 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2016 წელთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.9 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება და ბოლო 13 წლის განმავლობაში უმუშევრობა საქართველოში ყველაზე დაბალია.

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში სოსო არჩვაძე ამბობს, რომ უმუშევრობის დონის კლების ტენდენცია მისასალმებელია. თუმცა, კომერსანტთან საუბარში არჩვაძე განმარტავს, რომ უმუშევრობის დონის შემცირების მიზეზი გამომდინარეობს იქიდან, რომ სახელმწიფო თვითდასაქმებულ ადამიანებს დასაქმებულად თვლის.

– რაც უფრო დაბალია უმუშევრობის დონე, უფრო ეფექტიანად ხდება სამუშაო ძალის გამოყენება და საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის მეტი შესაძლებლობა არსებობს ქვეყანაში ანუ კეთილდღეობა უფრო მეტი იქნება და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანთა რაოდენობა უფრო შემცირდება. უხეშად რომ ვთქვათ, 0,1 პროცენტი 20 000-იანი მაჩვენებელია, კარგია უმუშევრობის შემცირება თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითოეული დასაქმებულის უკან კონკრეტული ოჯახის პრობლემები, კეთილდღეობა და ინტერესი დგას. თუმცა, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე უმუშევრობის დონე დიდწილად შემცირებულია იქიდან გამომდინარე, რომ დასაქმებულად ითვლება თვითდასაქმებულთა დიდი წილი, – აცხადებს სოსო არჩვაძე.

საქსტატის მონაცემებით, ტრადიციულად, დასაქმებულთა უმრავლესობას თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, თუმცა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კლების ტენდენცია ფიქსირდება. 2017 წელს თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში 51.7 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.5 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით. სოსო არჩვაძე ამბობს, რომ თვითდასაქმებულები დასაქმებული კონტინგენტის 3/5 ნაწილს შეადგენენ, დაქირავებით დასაქმებულები კი მხოლოდ 2/5-მდეა. არჩვაძე აღნიშნავს, რომ თვითკმაყოფილების დიდი ნაწილი აგრარულ სექტორშია დასაქმებული.

– ბოლო წლების ტენდენციის მიხედვით, თანდათანობით მცირდება თვითდასაქმებულთა წილი და იზრდება დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი, მაგრამ ეს ძალიან დაბალი ტემპია, თუ ჩვენ ავიღებთ ევროკავშირის ქვეყნებს მაგალითისთვის, დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი არის 85%, თვითდასაქმებულთა – 15%, ჩვენთან თვითდასაქმებულების ნაწილი 4-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირში, – განაცხადა სოსო არჩვაძემ.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია თბილისში, აღნიშნული მაჩვენებელი 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, შემდეგ იმერეთის რეგიონში – 1.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო შიდა ქართლის და ქვემო ქართლის რეგიონებში – შესაბამისად 2.0 და 3.5 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია აჭარის ა.რ-ში და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, შესაბამისად 5.8 და 3.4 პროცენტული პუნქტით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 0.8 პროცენტული პუნქტით. ეკონომიკის ექსპერტი განმარტავს, რომ დასაქმებას და ეკონომიკურ ზრდას ხშირად სეგმენტური და რეგიონალური ასპექტი აქვს.

– ჩვენთან ხდება არათანაბარი განაწილება ეკონომიკური რესურსების. პირველ რიგში, აგრო სექტორში მოდის უცხოური ინვესტიციების 2 პროცენტი მაშინ, როდესაც ამ სექტორში მთლიანი კონტინგენტის 45 პროცენტია დასაქმებული, აქედან გამომდინარე იმ ადამიანებზე, რომლებიც რეგიონებში ცხოვრობენ, ეკონომიკური ზრდის ინდიკატორები არ აისახება.

დოკუმენტის მიხედვით, უმუშევრობის დონე ქალებთან შედარებით ტრადიციულად მაღალია კაცებში. 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.3 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ქალებში გაიზარდა 1.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში შემცირდა 1.6 პროცენტული პუნქტით.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე კვლავ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება (29.6 პროცენტი). ამასთან აღნიშნული მაჩვენებელი 3.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში, რომლის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში არააქტიურობის დონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი.

**კომერსანტი**

# „გაყიდვები 10%-ით შემცირდება" – როგორ იმოქმედებს სებ-ის ახალი რეგულაცია ტექნიკის ბაზარზე



ტექნიკის ბაზარი გაყიდვების შემცირების მოლოდინშია. კომპანიებში პროგნოზირებენ, რომ ახალი რეგულაციები, რომლის მიხედვითაც შემოსავლების დადასტურების გარეშე კომერციულ ბანკებს სესხის გაცემა (განვადება) ეზღუდებათ, ტექნიკის ბაზარზე გაყიდვებს საშუალოდ 10%-ით შეამცირებს.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 7 მაისიდან მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე კომერციულ ბანკებს სესხების გაცემა შეეზღუდათ. ეს იმას გულისხმობს, რომ თვითდასაქმებულებს – ძიძებს, რეპეტიტორებს, ტაქსის მძღოლებს, პროფილაქტიკის ხელოსნებს, რომელთა შემოსავალიც ოფიციალურად არ ფიქსირდება, სესხის მისაღებად დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა დასჭირდებათ. ამასთან, განსაზღვრულია ლიმიტი, თუ რა ოდენობის სესხის მიღება შეეძლებათ თვითდასაქმებულებს.

გარდა იმისა, რომ თვითდასაქმებულებს კომერციული ბანკიდან სესხის მისაღებად დამატებითი დოკუმენტების წარდგენა დასჭირდებათ, ასევე, საყოფაცხოვრებო ნივთების ან ტექნიკის განვადების წესით შეძენის დროსაც, იგივე პრინციპები იმოქმედებს.

„ბიზნესპრესნიუსი" ტექნიკის რამდენიმე მსხვილ მაღაზიას დაუკავშირდა და გაარკვია, ხომ არ იქონია ახალმა რეგულაციამ მათი კომპანიების გაყიდვებზე გავლენა და რა პროგნოზები აქვთ სამომავლოდ.

როგორც „ტექნო ბუმის" დამფუძნებელი, ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე აცხადებს, რეგულაციის შედეგად, არის მოლოდინი, რომ გაყიდვები დაახლოებით 10%-ით შემცირდება.

– ჯერ შეფასება ნაადრევია, მაგრამ ეს შეზღუდვა ნეგატიურ გავლენას აუცილებლად მოახდენს როგორც მომხმარებელზე, ასევე კომპანიაზე. თუკი ბიზნესს მომზადების პერიოდი ექნებოდა, მაშინ ამ რეგულაციას ნაკლებად მტკივნეული შედეგი მოჰყვებოდა.

ბიზნესს და ბანკებს ადაპტაციის დრო არ ჰქონიათ. დაანონსებიდან ათ დღეში, გადაწყვეტილება უკვე ძალაში შევიდა. სავარაუდოდ, შედეგი იქნება ის, რომ გაყიდვები 10%-ით ან მეტით შემცირდება. ამ რეგულაციით ბიუროკრატია გაიზარდა, დამატებითი პროცედურების გავლა უწევთ თვითდასაქმებულ ადამიანებს იმისთვის, რომ ნივთი განვადებით შეიძინონ და ამის რამდენიმე შემთხვევა ჩვენს მაღაზიებში უკვე იყო, რომ ზედმეტ ბარიერებს წააწყდნენ, – აღნიშნავს ანზორ ქოქოლაძე.

ტექნიკის მაღაზია „სმაილში" კი განგვიცხადეს, რომ დაკვირვების რეჟიმში არიან:

– ჩვენს კომპანიაში საინიციატივო ჯგუფი შევქმენით, რომელიც შეისწავლის, თუ რა შედეგები ექნება აღნიშნულ რეგულაციას. ველოდებით შედეგებს და შემდეგ გადავწყვეტთ, როგორ მოვიქცეთ. ამ ეტაპზე დამატებით დეტალებზე საუბარი არ შეგვიძლია. იმ შემთხვევაში, თუ გაყიდვებზე უარყოფითად იმოქმედებს, მაშინ სხვა ფორმას შევიმუშავებთ, რომ გაყიდვების ოდენობა შევინარჩუნოთ და განვადების წილი არ დაეცეს, – აცხადებენ „სმაილში".

მათივე ინფორმაციით, ხშირია მომართვიანობა თვითდასაქმებული ადამიანების მხრიდან, რომლებსაც ტექნიკის შეძენა განვადებით სურთ:

– თუ რეგულაციები ძალიან მკაცრი იქნება და არ გადაიხედება, ალბათ, გაყიდვებზე უარყოფითად იმოქმედებს. მით უმეტეს, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მიმართავს განვადებას, ვიდრე ნაღდ ანგარიშსწორებას.

ტექნიკის კიდევ ერთ მაღაზია „ზუმერში" კი აცხადებენ, რომ აღნიშნული რეგულაციის მიმართ ჯერჯერობით ოპტიმისტური განწყობა აქვთ, თუმცა, როგორც კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი ეთო მერებაშვილი განმარტავს:

– იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული რეგულაცია უარყოფითად ჩვენს გაყიდვებზე არ იმოქმედებს. თუმცა ზეგავლენა თუ ექნება და ეს რეალიზაციაზე ნეგატიურად აისახება, მაშინ ვეცდებით, რომ ეს კლება სხვა რამით დავაბალანსოთ, – განაცხადა მერებაშვილმა.

როგორც ცნობილია, 2018 წლის 7 მაისიდან, კომერციულ ბანკებს სესხის გაცემა მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე შეეზღუდათ.

ეროვნული ბანკის სამუშაო დოკუმენტის თანახმად, ფიზიკურ პირებთან მიმართებაში გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზის პრინციპები უკვე გაწერილია. გარდა ამისა, თუ რა ოდენობის სესხის მიღებას შეძლებენ თვითდასაქმებულები, პირები, რომელთა შემოსავლებიც მესამე დამოუკიდებელი მხარეებისაგან მიღებული დოკუმენტებით არ დასტურდება. ასევე, დოკუმენტში განსაზღვრულია, თუ რა პირობების დაკმაყოფილება მოუწევთ თვითდასაქმებულებს, კერძოდ, ტაქსის მძღოლებს, ძიძებს, რეპეტიტორებს და ხელოსნებს იმისათვის, რომ ბანკმა სესხი მისცეთ.

# აპრილში კომერციული ბანკების მოგება 59,5%-ით გაიზარდა




2018 წლის აპრილის მონაცემებით, კომერციული ბანკების წმინდა მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 22,3 მილიონი ლარით გაიზარდა.

კერძოდ, აპრილში ბანკების წმინდა მოგებამ 59,959 მილიონი ლარი შეადგინა. 2017 წლის აპრილში კი აღნიშნული მაჩვენებელი 37,571 მილიონი ლარი იყო. მთლიანად, 2018 წლის 4 თვეში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 294,197 მილიონი ლარი შეადგინა.

ამასთან, მიმდინარე წლის აპრილში, ბანკების შემოსავლებმა 336,863 მილიონი ლარი, ხოლო ხარჯებმა 271,417 მილიონი ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, 2018 წლის აპრილში კომერციული ბანკების მიერ ჯარიმებიდან/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 6,093 მილიონი ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან, ანუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 6,958 მილიონი ლარი შეადგინა. ამასთან, მიმდინარე წლის აპრილში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 33,960 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, აპრილში ბანკებმა 5,282 მილიონი ლარის მოგების გადასახადი გადაიხადეს.

ცნობისთვის, გასულ წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 869,798 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა 2016 წელს ეს მაჩვენებელი 679,101 მილიონი იყო.

**ბპნ**

# თემურ ჭყონია ბაკურიანში მსოფლიო ბრენდის სასტუმროს მშენებლობას გეგმავს



თემურ ჭყონია ბაკურიანში სასტუმროს მშენებლობას გეგმავს. ამის შესახებ ბიზნესმენმა „კომერსანტს" ექსკლუზიურად განუცხადა. მისი ინფორმაციით, სასტუმროს მშენებლობა 2019 წლის დასაწყისში დაიწყება. ჭყონიას განცხადებით, ბაკურიანში უკვე აქვს მიწის ნაკვეთი.

ჭყონია აცხადებს, რომ თუ ადრე ფიქრობდა, რომ საქართველოში სასტუმრო ბიზნესი მომგებიანი არ იყო, ახლა სიტუაცია შეიცვალა და სულ სხვა რეალობაა.

– ამხელა პროექტი ხორციელდება, ვგულისხმობ მსოფლიო ჩემპიონატს თავისუფალი სტილით სრიალში – თხილამურსა და სნოუბორდში, რომელიც 2023 წლისთვის უნდა ჩატარდეს. ამიტომ, ჩვენც იქ უნდა ვიყოთ, – აცხადებს ჭყონია.

მისივე ინფორმაციით, უახლოეს მომავალში დაიწყება ბაზრის კვლევა, კონსულტაციები, შედგება პროექტი და უკვე ამის შემდეგ, დაახლოებით ორ თვეში დაზუსტდება ინვესტიციის ოდენობაც და ისიც, თუ რომელი საერთაშორისო ბრენდი შემოვა ბაკურიანის სასტუმროში.

– მოლაპარაკებები ბრენდთან დაკავშირებით ჯერ არ დამიწყია, თუმცა, მაქვს იმხელა ავტორიტეტი და შანსი, რომ ნებისმიერ თემაზე ნებისმიერ კომპანიას ველაპარაკოთ, – განმარტავს ჭყონია.

როგორც ცნობილია, 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატს თავისუფალი სტილით სრიალში – თხილამურსა და სნოუბორდში საქართველოს სამთო კურორტები – ბაკურიანი და გუდაური უმასპინძლებს. ჭყონია უკვე ფლობს სასტუმროGeorgia Palace Hotel&Spa-ს ქობულეთში. აღსანიშნავია, რომ თემურ ჭყონიამ სასტუმრო სოლომონი 1805 2010 წლის 28 დეკემბერს გახსნა და არარენტაბელობის გამო 2016 წელს გაყიდა.

**კომერსანტი**

## ათენში დაკავებულ ქართველებს კავშირი ჰქონდათ კანონიერ ქურდთან, ნოდარ შუკაკიძესთან

ათენში დაკავებული ქართული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს აქტიური კავშირი ჰქონდათ ე.წ. კანონიერ ქურდთან – ნოდარ

შინაგან საქმეთა სამინისტრო

შუკაკიძესთან (მეტსახელად „ნოდარ გლდანსკი“).

როგორც შსს-ში გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა საბერძნეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 100-მდე სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს.

„გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა საბერძნეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 100-მდე სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს. მათ ბრალად ედებათ ძარცვა, ყაჩაღობა, ბინების მრავალგზის ქურდობა, ასევე, დიდი ოდენობით ნაქურდალი ნივთების შენახვა-რეალიზაცია და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს“ – განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

მისივე ინფორმაციით, 17-ვე დაკავებულს ბრალი ედება საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე, 374-ე და 98-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებში, რაც 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## თბილისში მოსწავლეს ზებრაზე გადასვლისას ავტომობილი დაეჯახა



თბილისში, კერძო სკოლა „პოლიგლოტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ზებრაზე გადასვლისას მე-12 კლასელს მანქანა დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავებული მოსწავლე საავადმყოფოშია გადაყვანილი, მას მოტეხილობები აღენიშნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავტომობილის მძღოლი არ მიმალულა.

## ავარია ჩაქვში — დაშავებულია 8 ადამიანი

ჩაქვში ავარიის შედეგად 8 ადამიანი დაშავდა. არსებული ინფორმაციით, ჩაქვის გვირაბთან ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა. დაშავებულები სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.




# ბათუმის საავადმყოფოში 4 წლის ბავშვი გარდაიცვალა — მას თუთა ჰქონდა ნაჭამი

20 მაისს ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში 4 წლის გოგონა გარდაიცვალა. ამ საავადმყოფოში ბავშვი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა ბათუმის ინფექციური საავადმყოფოდან გადაიყვანა, სადაც გოგონა მშობლებმა 19 მაისს მიიყვანეს.

ინფექციური საავადმყოფოს კლინიკური მენეჯერის, დავით მურვანიძის თქმით, პაციენტის მდგომარეობა საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში დამძიმდა.

– პაციენტი შემოვიდა ბაქტერიული, საკვებისმიერი ინტოქსიკაციით, მრავალჯერადი ღებინებით და მკვეთრად გამოხატული გაუწყლოების ნიშნებით. დაიწყო, როგორც ამ დროს ჩვეულებრივ ხდება, გაუწყლოების ლიკვიდირება, ინფუზიური თერაპია. ინფუზიური თერაპიის ფონზე მოხდა გულყრა, რის შედეგადაც განვითარდა სითხის უკმარისობა და წარმოიშვა ყველა ის პრობლემა, რამაც გვაიძულა, ბავშვი გადაგვეყვანა ბავშვთა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, რადგან, ჯერჯერობით ჩვენ არ გვაქვს რეანიმაცია.



4 საათზე შემოსული პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა 8 საათზე, შემოსვლისას მდგომარეობა არ იყო ისე მძიმე, რომ რეანიმაციის საჭიროების საკითხი განხილულიყო. ინფექციურ საავადმყოფოში ყოველდღიურად 7-8 ბავშვი ხვდება, ეს არ იყო განსხვავებული შემთხვევა, – ამბობს დავით მურვანიძე.

მისივე თქმით, მშობლების ინფორმაციით, ბავშვს თუთა ჰქონდა მიღებული.

„ბათუმელებს“ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოში უთხრეს, რომ შუამდგომლობით მიმართავენ სასამართლოს და როგორც კი თანხმობას მიიღებენ, ფაქტს შეისწავლიან. სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო 0-დან 5 წლამდე ბავშვის გარდაცვალებაზე მოკვლევას იწყებს, თუკი ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვლება.

შს სამინისტრომ ბავშვის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლით დაიწყო – ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება.

**ბათუმელები**

# მთავარმა პროკურატურამ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი დააკავა



საქართველოს მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველომ, შსს გენერალურ ინსპექციასთან თანამშრომლობით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ფულადი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორი ო.მ. დააკავა.

როგორც „ნიუპოსტს“ უწყებიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ო.მ-მ მისი ნაცნობები ფ.ვ. და ნ.კ დაარწმუნა, რომ იგი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელ თანამდებობის პირებთან და საოლქო პროკურატურის პროკურორთან, რის შემდეგაც ფ.ვ.-ს და ნ.კ.-ს დაჰპირდა, რომ საპატრულო პოლიციის საჯარიმო ავტოსადგომიდან გამოიყვანდა და მათ დაუბრუნებდა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულ ნ.კ.-ს ნათესავების კუთვნილ ავტომანქანებს, რის სანაცვლოდ, თითქოსდა აღნიშნული თანამდებობის პირებისთვის გადასაცემად იგი თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ნ.კ.-ს კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხებს 6 400 აშშ დოლარისა და 4 000 ლარის ოდენობით.

სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებული სასამართლოს განჩინებით, 2018 წლის 21 მაისს, ო.მ. ბრალდებულის სახით იქნა დაკავებული.

საქართველოს პროკურატურა კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# პირი, რომელიც ინგა გრიგოლიას ემუქრებოდა, დაკავებულია

## 48 წლის რ.ნ.-ს 2 წელი ემუქრება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინგა გრიგოლიას მიმართ განხორციელებული მუქარისა და ადევნების ფაქტზე, 1970 წელს დაბადებული რ.ნ. დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია მუქარის შემცველი წერილები და სხვა სახის შეტყობინებები.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას მიმართ განხორციელებული მუქარისა და ადევნების ფაქტზე, 1970 წელს დაბადებული რ.ნ. დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება მიმდინარე წლის 19 მაისს, ინგა გრიგოლიას მიერ სოციალურ ქსელში ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ამავე ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო.

ოპერატიულად ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, გამოიკითხნენ თავად ინგა გრიგოლია და სხვა მოწმეები. ნივთმტკიცების სახით ამოღებულ იქნა მუქარის შემცველი წერილები და სხვა სახის შეტყობინებები.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რ.ნ. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინგა გრიგოლიას ტელეფონით, ელექტრონული და სხვა საშუალებებით მუქარის შემცველ შეტყობინებებს უგზავნიდა.

გამოძიება მუქარისა და ადევნების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და 151-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.




**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# აშშ და ჩინეთი შეთანხმდნენ



აშშ-ის ეკონომიკის მინისტრმა მნუჩინმა განაცხადა, რომ ჩინეთთან შეთანხმება მოხერხდა. ვაშინგტონმა და პეკინმა მოილაპარაკეს, რომ ამ ეტაპზე შანტაჟისა და მუქარისგან თავი უნდა შეიკავონ. არც სხვა რაიმე შემზღუდავი ღონისძიებანი განხორციელდება. ამავე დროს, მნუჩინი თავის შეფასებაში თავშეკავებულია:

– ჩინეთთან სავაჭრო ომის საკითხი პაუზაზეა. ვნახოთ, შემდგომი მოვლენები როგორ განვითარდება.



# გროზნოს ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო

20 მაისს გროზნოს ცენტრში მდებარე რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე თავდასხმა განხორციელდა. ამ აქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ ისლამისტები უკვე რუსეთის ტერიტორიაზე აქტიურობენ. კადიროვის აზრით, მოსკოვმა ბაშარ ასადისადმი მხარდაჭერა უნდა გაზარდოს, რათა ისლამისტების რუსეთში შემოსვლა არ დაუშვას.

– ასადი ერთადერთი ძალაა სირიაში, რომელიც ტერორიზმს ებრძვის, – თქვა კადიროვმა.

# სალონიკის მერს სცემეს



ნაციონალისტების ჯგუფი თავს დაესხა სალონიკის მერს იანის ბუტარისს. ეს პირველი მსოფლიო ომის დროს დაღუპული ბერძნების ხსოვნის აღმნიშვნელ ღონისძიებაზე მოხდა.

ბუტარისი ცნობილია თავისი მკვეთრი ანტინაციონალისტური შეხედულებებით. ბერძენმა ნაციონალისტებმაც მოითხოვეს, რომ მას ღონისძიება დაეტოვებინა. ბუტარისმა ამას ყურადღება არ მიაქცია. მაშინ რამდენიმე მამაკაცი მას მივარდა, ძირს დასცა და წიხლებით შედგა.

იანის ბუტარისი საავამყოფოში მოათავსეს.



# ბაქოს კაფეში აფეთქებას 2 ადამიანი ემსხვერპლა

ბაქოში, ერთ-ერთ კაფეში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარ აფეთქებას ორი ადამიანი ემსხვერპლა, ორი კი დაშავდა.

ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, ორი დაშავებულის მდგომარეობა მძიმეა.

# ინდოეთში ავტობუსისა და სატვირთო მანქანის შეჯახების გამო 11 ადამიანი დაიღუპა




ინდოეთში ავტობუსისა და სატვირთო მანქანის შეჯახების გამო 11 ადამიანი დაიღუპა, 20 დაშავდა.

შემთხვევა გუშინ დილით მოხდა ქალაქების აგრასა და მუმბაის დამაკავშირებელ გზაზე. ავტობუსი გაჩერებულ სატვირთოს დაეჯახა. პოლიციის თქმით, 8 ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო 3 – საავადმყოფოში.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საგზაო ავარიების გამო, ინდოეთში დღეში 400-მდე ადამიანი იღუპება, ხოლო წლიურად დაახლოებით 150 000. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, წლიურად ინდოეთში ავარიების გამო დაღუპულთა რაოდენობა ბოლო წლებში 200 ათასს აჭარბებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

### „მაკდონალდსის" ნაყინში მომხმარებლებმა უცნობი აბები აღმოაჩინეს



ახალ ზელანდიაში „მაკდონალდსის" ორმა მომხმარებელმა თავიანთ ნაყინში აბები აღმოაჩინეს.

გოგონებმა ნაყინი ქალაქ ოკლენდის დასავლეთ ნაწილში შეიძინეს. სახლში მისვლის შემდეგ მათ ნაყინს გემო გაუსინჯეს. ერთ-ერთმა მეორეს მისი ნაყინის „ძალიან უცნაური გემოს" გამო შესჩივლა. ნაყინის ჭიქების ფსკერზე გოგონებმა აბების რამდენიმე ნაწილაკი და რამდენიმე მთლიანი კაფსულა აღმოაჩინეს. ერთს წამალი შემთხვევით გადაეყლაპა, მეორემ კი გადმოაფურთხა.

ამის შემდეგ გოგონებმა დაუყოვნებლივ საავადმყოფოს მიმართეს. ექიმებმა ისინი იმით დაამშვიდეს, რომ წამლებში აქტიური ნივთიერების დოზა მეტისმეტად მცირე იყო, იმისთვის, რომ მათთვის ევნო, თუმცა იქვე აღნიშნეს, რომ მათ რომელიღაც რეცეპტორული წამალი გასინჯეს, თუმცა კონკრეტულად რომელი, ვერ გაარკვიეს და წამლები ექსპერტიზაზე გადააგზავნეს.

სწრაფი კვების რესტორნის წარმომადგენლის თქმით, ის გამოძიებასთან თანამშრომლობს, მზადაა წარმოადგინოს სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, რათა აჩვენოს, თუ როგორ მუშაობენ ნაყინის და სოუსის დისპენსერები.

### ქალმა კოკაინი პირში დამალა და დაიღუპა



ახალგაზრდა ინგლისელმა ქალმა პოლიციელების მიერ ავტომობილის შემოწმების დროს კოკაინი პირში დამალა და რამდენიმე საათში დოზის გადამეტებისგან დაიღუპა.

პოლიციამ გააჩერა ავტომობილი, რომელშიც 19 წლის ჯორჯია კასიდი იმყოფებოდა თავის მეგობარ მამაკაცთან ერთად. შეშინებულმა გოგონამ ნარკოტიკები პირში ჩაიტენა და ამის წყალობით წყვილი დაკავებას გადაურჩა. თუმცა სამი საათის შემდეგ კასიდის კრუნჩხვები დაეწყო. სამი დღის შემდეგ ის საავადმყოფოში ნარკოტიკის დოზის გადამეტებისგან გარდაიცვალა, ხოლო მისი მეგობარი ნარკოტიკების შენახვისა და გავრცელების ბრალდებით დააპატიმრეს.

გარდაცვლილი კათოლიკური სკოლის კურსდამთავრებული იყო, და ლივერპულის სილამაზის ერთ-ერთ სალონში კოსმეტოლოგად მუშაობდა.

### 10 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ცირკის მსახიობი გადარჩა




საცირკო წარმოდგენის დროს აკრობატი 10 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი კუნძულ გერნსიზე მოხდა, რომელიც დიდი ბრიტანეთის სამეფოს მფლობელობაშია. მბრუნავ ბორბალზე სალტო მორტალეს შესრულების დროს, მსახიობი, მეტსახელად ჰოუი, შეცდა, ზევით მიმავალი ბორბლიდან გადმოვარდა და არენაზე ზურგით დაეცა. ცირკის თანამშრომლები დაუყოვნებლივ მიიჭრნენ აკრობატთან დასახმარებლად. ჰოუი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც გაირკვა, რომ ის რამდენიმე ადგილის დაჟეჟილობით გადარჩა.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოს ავტორმა ვიკი ბენელიკმა დააზუსტა, რომ დიდ ბრიტანეთში ეს ასეთი ერთადერთი ნომერია, რომელშიც მსახიობები დამზღვევი მოწყობილობების გარეშე გამოდიან. ბენელიკის თქმით, ინციდენტის შემდეგ სცენაზე ჟონგლიორები გამოვიდნენ და შეეცადნენ ბავშვების ყურადღება მომხდარიდან მათ გამოსვლაზე გადაეტანათ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი აკრობატებმა გამოსვლა გააგრძელეს.

თავად ჰოუიმ კი აღიარა, რომ ვარდნის დროს გონებაში სიცოცხლეს დაემშვიდობა, მაგრამ როდესაც ძირს დაეშვა, მიხვდა, რომ თავს შესანიშნავად გრძნობდა.

### ხანდაზმულმა მეთევზემ ზვიგენს აჯობა



სამმა ბრიტანელმა მეთევზემ, რომლებიც თევზის დასაჭერად ჩრდილოეთის ზღვაში ნორტ იორკშირის საგრაფოს ქალაქ უიტბის მახლობლად იყვნენ გასულები, დიდი ზვიგენი დაიჭირეს.

68 წლის სტივ უოტსონი ზღვაში თავის 33 წლის შვილ ენდისთან და ნაცნობ მეთევზე მეთ უორდთან ერთად გავიდა. მისი თქმით, თევზაობის დაწყებიდან 15 წუთში მათ ატლანტიკური სელდური ზვიგენი შენიშნეს.

– ისინი ძალიან გვანან დიდ თეთრ ზვიგენს. მათი გარჩევა მხოლოდ ფარფლებითაა შესაძლებელი, – განმარტა მეთევზემ.

მტაცებელი თევზი სატყუარიან ანკესს წამოეგო, ხოლო როდესაც უოტსონმა ანკესის ახვევა დაიწყო, მან თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია. მეთევზისა და ზღვის მტაცებლის ბრძოლა 45 წუთს გაგრძელდა და საბოლოოდ უოტსონმა ზვიგენის წყლიდან ამოყვანა მოახერხა. ზვიგენის სიგრძემ 2,7 მეტრი შეადგინა, ხოლო წონამ – 108 კილოგრამი. მოგვიანებით უოტსონმა ის ზღვაში დააბრუნა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

**სხვადასხვა**

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ქუთაისი ფინალში დინამოს შეუწყვილდა



**ქუთაისი-რუსთავი 85:79**
(23:21, 20:13, 25:24, 17:21)

სუპერლიგის ნახევარფინალური ეტაპის გადამწყვეტი შეხვედრა ქუთაისში გაიმართა, სადაც ადგილობრივმა გუნდმა რუსთავი მიიღო. სერიაში თანაფარდობა (2:2) იყო, ამიტომ მატჩს მეორე ფინალისტი უნდა გამოევლინა. მასპინძლებმა მძიმე ბრძოლაში, 85:79 იმარჯვეს და ფინალში დინამოს შეხვდებიან.

თამაში თანაბრად დაიწყო, მაგრამ ერთ ეპიზოდში რუსთაველთა კაპიტანი ლევან ცეკვავა „აიჭრა“ და 13 წამში 3 პერსონალური ჯარიმა მიიღო, აქედან, ერთი არასპორტული იყო. ის შეცვალეს, რითაც ქუთაისმა ისარგებლა და მეტოქეს გაექცა. სხვაობა 10 ქულამდე ავიდა, მაგრამ სტუმრებმა თამაშში დაბრუნება შეძლეს და მეოთხედი მხოლოდ 2 ქულით წააგეს – 21:23.

მეორე მეოთხედში ქვემოქართლელებმა ანგარიშის გათანაბრება და წინ გასვლაც მოახერხეს. გარკვეული დროის განმავლობაში, ხან ერთი გუნდი ლიდერობდა, ხანაც – მეორე. ტაიმის დასრულებამდე ორწუთნახევარი იყო დარჩენილი, როდესაც ქუთაისმა 7:0 გაქცევა განახორციელა და დიდ შესვენებამდე 9-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა – 43:34.

შესვენების შემდეგ სტუმრები ბევრს ცდილობდნენ, სხვაობა 4 ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ მასპინძლები ლიდერობას აღარ თმობდნენ. ლევან ცეკვავას საჯარიმოებით, გადამწყვეტი მეოთხედის წინ, სხვაობა 10 ქულამდე შემცირდა – 58:68.

მეოთხე ათწუთეულის შუაში ქუთაისს ჩავარდნა დაეწყო. 4 წუთითა და 47 წამით ადრე, 79:65-ს იგებდნენ. ორწუთნახევარში კი სხვაობა უკვე 2 ქულა იყო. გიორგი ბარბაქაძემ დროული სამიანი ჩააგდო და ჰანდიკაპი 5 ქულამდე გაზარდა. 21 წამით ადრე, მანვე განახორციელა მოუმზადებელი ტყორცნა პერიმეტრიდან, მასზე ცეკვავა დაჯარიმდა. ბარბაქაძემ სამივე საჯარიმო გამოიყენა, რითაც რუსთავს შანსები შეუმცირა. საბოლოოდ, მეტი ქულა აღარ ჩავარდნილა და ქუთაისმა ფინალის საგზური მოიპოვა – 85:79.

მასპინძელთა მხრიდან 18 ქულა და 9 პასი დე ჟუან რაითის ანგარიშზეა. 17 ქულა და 12 მოხსნა აკაკი დვალიშვილმა მოაგროვა. 13 ქულა ჰქონდა გიორგი ბარბაქაძეს. რუსთავს 21 ქულითა და 11 მოხსნით ტაირელ ნელსონმა ულიდერა. 16 ქულა ჰქონდა ლევან ცეკვავას. ასევე ორმაგი დუბლი კრეიგ ოზაიკვუვუომვანმა გაიფორმა – 10 ქულა, 10 მოხსნა.

# ეროვნული ლიგიდან პოლონეთის უმაღლეს ლიგაში




თბილისის ლოკომოტივის თავდამსხმელი ვატო არველაძე პოლონეთში გააგრძელებს კარიერას.

20 წლის ქართველმა ფორვარდმა პოლონეთის უმაღლესი ლიგის კლუბთან, კიელცეს კორონასთან გააფორმა ხელშეკრულება. აქვე გეტყვით, რომ ვატო კორონაში ერთადერთი ქართველი არ იქნება. სადღეისოდ, იქვე თამაშობს საქართველოს ნაკრების შემტევი ნიკა კაჭარავა.

კონტრაქტის კონკრეტული დეტალები მოგვიანებით გაცხადდება. ჯერჯერობით ცნობილია ის, რომ 2+1 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ვატო პოლონეთიდან თბილისში დაბრუნდება, კორონას კი ზაფხულში, სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ შეუერთდება.

ვატო არველაძე ეროვნული ლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია, რასაც მისი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში გამოძახება მოჰყვა.

გეტყვით იმასაც, რომ ვატო რევაზ არველაძის შვილია.

# დილამ საბურთალოს სანახაობრივ მატჩში აჯობა

**დილა-საბურთალო 4:1**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე
1:0 კოვტალიუკი (33), 2:0, 3:0 რიბეირო (51პ, 78), 3:1 გოშთელიანი (86), 4:1 რიბეირო (90)

**დილა:** ბეგაშვილი, კერელეიშვილი, კვახაძე, ჩადუნელი, კორიფაძე, რაზმაძე (აშორტია 87), რაჟამაშვილი (ფორტესი 63), ნონიკაშვილი, ქავთარაძე (ლემპტი 73), რიბეირო, კოვტალიუკი

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ნადარაია (ლაკვეხელიანი 53), დიასამიძე, ტერა (ტატანაშვილი 63), გორგიაშვილი, გვარაძე (გოშთელიანი 66), გონსალვეში, კოხრეიძე

ეროვნული ლიგის მე-12 ტურის ცენტრალურ შეხვედრას გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონმა უმასპინძლა. სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე მყოფმა დილამ, გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს, საბურთალოს დაუხვდა და 4:1 დაამარცხა.

სტადიონზე შეკრებილმა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა გულშემატკივარმა ლაღი და ხარისხიანი ფეხბურთი იხილა. ბურთი ცენტრში პრაქტიკულად არ რჩებოდა და ორივე გუნდის კართან იქმნებოდა საგოლე მომენტები. შეხვედრაში ანგარიში 33-ე წუთზე გაიხსნა. მარცხენა ფლანგზე ლეანდრო რიბეირომ ერთი მცველი ჩამოიტოვა და მიკოლა კოვტალიუკს უპასა, რომელმაც მიმდინარე სეზონში თავისი მეხუთე გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარი გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა აქტიურად დაიწყო. დიასამიძის დარტყმა მცირე მანძილით აცდა გიორგი ბეგაშვილის კარს. 51-ე წუთზე კი საბურთალოს მეტოქის სწრაფი შეტევა გამოეპარა. გიორგი რეხვიაშვილმა ლევან ნონიკაშვილი საჯარიმოში წააქცია და შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, ირაკლი კვირიკაშვილმა, 11-მეტრიანი ნიშნულისკენ მიუთითა. პენალტი ლეანდრო რიბეირომ ზუსტად შეასრულა.

გაშვებული გოლის შემდეგ, გიორგი ჭიაბრიშვილმა მოედანზე გამოცდილი თავდამსხმელი, დიმიტრი ტატანაშვილი გამოიყვანა. რეხვიაშვილის პასის შემდეგ „ტატანას“ გატანაც მართებდა, თუმცა, ახლო მანძილიდან კარს ააცილა. საბურთალო შეტევაში დიდი ძალებით იყო წასული და გორელთა კონტრშეტევა ისევ გამოეპარა. ისიფუ ლემპტის დარტყმა მეკარე გიორგი ბეგაშვილმა მოიგერია, დამატებაზე კი ყველას ლეანდრო რიბეირომ დაასწრო და ბრაზილიელმა მორიგი გოლი გაიტანა.

86-ე წუთზე საკუთარ საჯარიმოში გორელთა მცველები დაბნეულობამ მოიცვა, რითაც გურამ გოშთელიანმა ისარგებლა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

მატჩის საბოლოო ანგარიში კი, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროს, ლეანდრო რიბეირომ დააფიქსირა.

ამ გამარჯვებით გორის დილას 23 ქულა დაუგროვდა და მესამე ადგილს იკავებს. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი კი, 27 ქულით, კვლავ ეროვნული ლიგის ერთპიროვნული ლიდერია.

**რუსთავი-ჩიხურა 0:4**

**თბილისი.** მიხეილ მესხი
0:1 ბულრიძე (34), 0:2, 0:3 გაბედავა (40, 66), 0:4 ბუხაიძე (79)




**რუსთავი:** რევიშვილი, გეგეჭკორი, ცხოვრებოვი, კობახიძე, ფონიავა, ცინცაძე (კვირკველია 41), პაპავა, ხადარცევი (კვირკვია 69), გაბულოვი, მიქელთაძე, ქავთარაძე (მაქაცარია 63)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, მირცხულავა, მეგრელიშვილი, ბულრიძე (ლეკვთაძე 67), კაკუბავა, ჩიკვაიძე (დობროვოლსკი 73), გაბედავა (ცხადაძე 80), ბუხაიძე, მარკოზაშვილი

**გაძევება:** კობახიძე, მარცვალაძე

მატჩი თავიდანვე ჩიხურას უპირატესობით დაიწყო. რუსთაველებიც ცდილობდნენ შეტევების ორგანიზებას, თუმცა, იმერლები შეტევით ფაზაში უფრო გააზრებულად მოქმედებდნენ.

მატჩში ანგარიში 34-ე წუთზე გაიხსნა. თეიმურაზ მარკოზაშვილის პასის შემდეგ, ირაკლი ბულრიძე დარჩა მეკარესთან პირისპირ. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ ბულრიძე, პასის მომენტში, თამაშგარე მდგომარეობაში იყო, თუმცა, შეხვედრის მთავარმა არბიტრმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა. თავდაპირველად, საჩხერელთა შემტევს ნუკრი რევიშვილმა აჯობა, თუმცა, შემდეგ რუსთაველი მცველები დაიბნენ და ბულრიძემ ბურთი კარში შეიტანა.

გაშვებული გოლიდან მალევე, რუსთაველები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. ირაკლი ბულრიძე მეკარესთან ერთი-ერთზე რჩებოდა, მაგრამ მამუკა კობახიძემ წესების დარღვევით შეაჩერა. ეს შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, ბაკურ ნინუამ, უკანასკნელი იმედის ჯარიმად ჩათვალა, რის გამოც, რუსთაველთა კაპიტანს მოედანი დაატოვებინა. საჯარიმო დარტყმა კი გიორგი გაბედავამ ზუსტად შეასრულა – 0:2. პირველ ნახევარში რუსთაველთა უიღბლობა ამით არ დასრულებულა. ჯერ მათე ცინცაძემ მიიღო ტრავმა და შესაცვლელი შეიქმნა. ტაიმის ბოლოს კი, ოთარ მარცვალაძეც გააძევეს სათადარიგოთა სკამიდან.

მეორე ნახევარში ვლადიმერ გაზაევის გუნდი სრულიად დემორალიზებული გამოვიდა მოედანზე და საჩხერელებმა კიდევ ორჯერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. ჯერ გიორგი გაბედავამ გაიტანა მარკოზაშვილის პასით. შემდეგ კი, ბუხაიძემ მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ შეხვედრის მთავარი არბიტრის, ბაკურ ნინუას საკმაოდ საკამათო გადაწყვეტილებები, რამაც მატჩის შედეგზე იქონია გავლენა.

ვლადიმირ გაზაევის გუნდი ზედიზედ მესამე შეხვედრაში დამარცხდა და რუსთაველი ქომაგები მის წასვლასაც სკანდირებდნენ.

**ლოკომოტივი-ტორპედო 1:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2
1:0 კიკაბიძე (71)

**ლოკომოტივი:** შეროზია, გაბაძე, ნ.ჭანტურია, ლობჟანიძე, უბილავა, ძებნიაური, შონია, კობახიძე (ღონღაძე 89) კიკაბიძე (გვალია 79), გავაშელიშვილი, ჯიქია (ოზბეთელაშვილი 90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, გრიგალაშვილი, ჭიჭინაძე, გურული, ქიაძე, კუხიანიძე (გიგაური 45), მამასახლისი (კუჭუხიძე 76), ტაბატაძე, ლიპარტია (სარდალიშვილი 69), კუტალია, კაპანაძე

მატჩი საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო. საწყის წუთებში გუნდებმა ერთმანეთის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი გაცვალეს. კვასხვაძე იოლად დაეუფლა უბილავას დარტყმულს, ხოლო ჯაბა ლიპარტიას დარტყმა კი მცირე მანძილით აცდა ლუკა შეროზიას კარს. პირველ ნახევარში ლაშა ჭალიაშვილის გუნდი აქტიურ პრესინგს თამაშობდა და ქუთაისელებს მეტოქის ნახევარზე გადასვლა უჭირდათ. ლოკომოტივის მხრიდან კი მამია გავაშელიშვილი აქტიურობდა, თუმცა, პირველ ნახევარში გუნდებს თვალსასეირო არაფერი შეუქმნიათ.

პირველი ნახევრის ბოლოს, ტრავმა მიიღო და მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო ტორპედოელთა ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კუხიანიძემ, რომელიც მერაბ გიგაურმა ჩაანაცვლა.

მეორე ნახევარი შედარებით მოსაწყენი გახლდათ. ერთია, თბილისელთა შეტევები უფრო მწვავე ხასიათის იყო, რამაც საბოლოო შედეგი 71-ე წუთზე გამოიღო: გიორგი გაბაძის ჩაწოდებულ ბურთზე ყველას ლუკა კიკაბიძემ დაასწრო და ანგარიში გახსნა.

დარჩენილ დროში, სახიფათო მომენტების მიუხედავად, შეხვედრაში ანგარიში აღარ შეცვლილა.

ამ გამარჯვებით ლოკომოტივს 11 ქულა დაუგროვდა და მერვე ადგილამდე აღზევდა. მოქმედი ჩემპიონები კი 17 ქულით, კვლავ მეხუთე საფეხურზე არიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 12 | 9 | 0 | 3 | 25-10 | 27 |
| 2.დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 23-11 | 25 |
| 3.დილა | 12 | 6 | 5 | 1 | 24-13 | 23 |
| 4.ჩიხურა | 12 | 6 | 4 | 2 | 21-11 | 22 |
| 5.ტორპედო | 12 | 5 | 2 | 5 | 15-12 | 17 |
| 6.რუსთავი | 12 | 4 | 2 | 6 | 10-15 | 14 |
| 7.კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-28 | 12 |
| 8.ლოკომოტივი | 12 | 3 | 2 | 7 | 11-22 | 11 |
| 9.სამტრედია | 12 | 1 | 5 | 6 | 6-13 | 8 |
| 10.სიონი | 12 | 2 | 2 | 8 | 8-21 | 8 |

# შედეგები

**20 მაისი**
**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პირველი დივიზიონი**

ვალენსია-დეპორტივო .................. 2:1
ბილბაო-ესპანიოლი ...................... 0:1
ატლეტიკო-ეიბარი ........................ 2:2
ბარსელონა-სოსიედადი ................ 1:0

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 38 | 28 | 9 | 1 | 99-29 | 93 |
| 2.ატლეტიკო | 38 | 23 | 10 | 5 | 58-22 | 79 |
| 3.რეალი | 38 | 22 | 10 | 6 | 94-44 | 76 |
| 4.ვალენსია | 38 | 22 | 7 | 9 | 65-38 | 73 |
| 5.ვილიარეალი | 38 | 18 | 7 | 13 | 57-50 | 61 |
| 6.ბეტისი | 38 | 18 | 6 | 14 | 60-61 | 60 |
| 7.სევილია | 38 | 17 | 7 | 14 | 49-58 | 58 |
| 8.ხეტაფე | 38 | 15 | 10 | 13 | 42-33 | 55 |
| 9.ეიბარი | 38 | 14 | 9 | 15 | 44-50 | 51 |
| 10.ხირონა | 38 | 14 | 9 | 15 | 50-59 | 51 |
| 11.სოსიედადი | 38 | 14 | 7 | 17 | 66-59 | 49 |
| 12.სელტა | 38 | 13 | 10 | 15 | 59-60 | 49 |
| 13.ესპანიოლი | 38 | 12 | 13 | 13 | 36-42 | 49 |
| 14.ალავესი | 38 | 15 | 2 | 21 | 40-50 | 47 |
| 15.ლევანტე | 38 | 11 | 13 | 14 | 44-58 | 46 |
| 16.ბილბაო | 38 | 10 | 13 | 15 | 41-49 | 43 |
| 17.ლეგანესი | 38 | 12 | 7 | 19 | 34-51 | 43 |
| 18.დეპორტივო | 38 | 6 | 11 | 21 | 38-76 | 29 |
| 19.ლას პალმასი | 38 | 5 | 7 | 26 | 24-74 | 22 |
| 20.მალაგა | 38 | 5 | 5 | 28 | 24-61 | 20 |

**ესპანეთი. მეორე დივიზიონი**

ბარსელონა ბ-კადისი ...................... 3:1
ნუმანსია-ოსასუნა .......................... 1:1
სარაგოსა-ალბასეტე ........................ 4:1

***სარაგოსას 3 გოლი გიორგი პაპუნაშვილმა გაიტანა***

ალკორკონი-რაიო ........................ 4:0
კორდობა-ალმერია ........................ 2:0

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-ტორინო ............................ 1:2
კალიარი-ატალანტა ........................ 1:0
კიევო-ბენევენტო .......................... 1:0
მილანი-ფიორენტინა ...................... 5:1
ნაპოლი-კროტონე .......................... 2:1
სპალი-სამპდორია .......................... 3:1
უდინეზე-ბოლონია ........................ 1:0
ლაციო-ინტერი ............................ 2:3
სასუოლო-რომა ............................ 0:1

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 38 | 30 | 5 | 3 | 86-24 | 95 |
| 2.ნაპოლი | 38 | 28 | 7 | 3 | 77-29 | 91 |
| 3.რომა | 38 | 23 | 8 | 7 | 61-28 | 77 |
| 4.ლაციო | 38 | 21 | 9 | 10 | 89-49 | 72 |
| 5.ინტერი | 38 | 20 | 12 | 6 | 66-30 | 69 |
| 6.მილანი | 38 | 18 | 10 | 10 | 56-42 | 64 |
| 7.ატალანტა | 38 | 16 | 12 | 10 | 57-39 | 60 |
| 8.ფიორენტინა | 38 | 16 | 9 | 13 | 54-46 | 57 |
| 9.სამპდორია | 38 | 16 | 6 | 16 | 56-60 | 54 |
| 10.ტორინო | 38 | 13 | 15 | 10 | 54-46 | 54 |
| 11.სასუოლო | 38 | 11 | 10 | 17 | 29-59 | 43 |
| 12.ჯენოა | 38 | 11 | 8 | 19 | 33-43 | 41 |
| 14.უდინეზე | 38 | 12 | 4 | 22 | 48-63 | 40 |
| 13.კიევო | 37 | 10 | 10 | 18 | 36-59 | 40 |
| 15.ბოლონია | 37 | 11 | 6 | 20 | 40-51 | 39 |
| 16.კალიარი | 38 | 11 | 6 | 21 | 32-61 | 39 |
| 17.სპალი | 38 | 8 | 14 | 16 | 39-59 | 35 |
| 18.კროტონე | 38 | 9 | 9 | 20 | 40-66 | 35 |
| 19.ვერონა | 38 | 7 | 4 | 27 | 30-78 | 25 |
| 20.ბენევენტო | 38 | 6 | 3 | 29 | 33-84 | 21 |

**პორტუგალია. თასი**
**ფინალი**

ავიში-სპორტინგი .......................... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-ვოლფსბერგერი ............ 1:3
რაპიდი-ალტახი ............................ 4:1
ზალცბურგი-მატერსბურგი .......... 1:0
სტ.პოლენი-აუსტრია .................... 2:0
შტურმი-ადმირა ............................ 2:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-გენკი ...................... 1:2
ბრიუგე-გენტი .............................. 0:1
შარლერუა-სტანდარდი .................. 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ვისლა ............................ 2:0
კორონა-ზაგლებიე ........................ 0:2
ლეხი-ლეგია ................................ 0:2
იაგელონია-პლოცკი ...................... 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-მარიუპოლი ...................... 1:1
ვორსკლა-ზორია .......................... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-აიკი ................................ 0:1
მალმიო-ჰაკენი ............................ 2:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# 13 წლის ლუკა ალავიძე ჯუნიორ ნბა-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს

გასული წლის საქართველოს ჯუნიორ ნბა-ს ლიგის საუკეთესო მოთამაშე, რომელიც ზაზას აკადემიაში ასპარეზობს, სლოვენიაში გამართულ ჯუნიორ ნბა-ს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ კემპზე გამოარჩიეს და 7-12 აგვისტოს, ფლორიდის შტატის დედაქალაქ ორლანდოში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე ლუკა ალავიძე ევროპის ნაკრების ღირსებას დაიცავს.

სლოვენიაში ლუკა ალავიძესთან ერთად გეგა წულაია, მარიამ გოგიჩაიშვილი და მწვრთნელი – ჯაბა ბაქრაძე იმყოფებოდნენ. სხვადასხვა ვარჯიშებისა და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

2018, 22 მაისი, №119

# ზაზას სამი წუთი და ნულები



ნბა-ს ჩემპიონმა გოლდენ სტეიტ უორიორზმა რეგულარულ პირველობაზე საუკეთესო შედეგის მქონე ჰიუსტონ როკითსი 126:85 გაანადგურა და რამდენიმე რეკორდი დაამყარა.

ოკლენდელებმა საპლეიოფე მატჩებში ზედიზედ 16 საშინაო გამარჯვება მოიპოვეს, რითაც 1990-91 წლის სეზონში ჩიკაგო ბულზის მიერ დამყარებული საუკეთესო შედეგი გააუმჯობესეს. ამასთან, ოკლენდელებს პლეი ოფის ასპარეზობებში აქამდე 41 ქულიანი სხვაობით დღემდე არასდროს მოეგოთ.

მატჩის პირველი ტაიმი კალიფორნიელებმა 11 ქულის სხვაობით მოიგეს, მესამე მეოთხედის დასაწყისში 10:0 „გაქცევა“ მოაწყვეს და ცხადი გახდა, გოლდენ სტეიტი სერიაში რომ დაწინაურდებოდა. მესამე პერიოდში 18 ქულა გააკეთა სტეფ კარიმ, რომელმაც მთლიანობაში 35 ქულა დააგროვა. კევინ დურანტმა 25 ქულას, 6-6 მოხსნა-პასი მიამატა, დრეიმონდ გრინს კი 10 ქულით, 17 მოხსნა და 6 პასი ჰქონდა.

ზაზა ფაჩულიას რაც შეეხება, ქართველმა მეფარემ მხოლოდ 3 წუთი ითამაშა და სულ ეს იყო...

# საქართველო ალბანეთთან დამარცხდა



საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა ევროლიგის გათამაშება საშინაო მარცხით დაიწყო. პაატა ულუმბეგაშვილის გაწვრთნილი გუნდი შინ ალბანეთთან, 0:3 დამარცხდა.

არადა, მატჩის წინ მეტის მოლოდინი გვქონდა. გასული წლის სექტემბერში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ჩვენმა გოგონებმა ძლიერ მეტოქეებს ბრძოლა გამოუცხადეს და ხორვატიის ნაკრებს სეტიც კი მოუგეს. თუმცა, დღეს საერთოდ სხვა ნაკრები იდგა პარკეტზე. უამრავი შეცდომა მოწოდებისას, უამრავი არასწორი პასი შემტევებზე, არასწორი მიღება და შედეგიც სახეზეა...

ვერ გეტყვით, რისი ბრალია ეს, რადგან ქალთა ფრენბურთი, ბოლო დროს, აშკარა პროგრესს განიცდის. თუმცა, ჯერ კიდევ ხუთი შეხვედრაა ჯგუფში ჩასატარებელი და ყველაფერი გამოჩნდება.

პირველი სეტი პირწმინდად წავაგეთ. ერბრილა ბიკის მოწოდებებს ვერაფერი მოვუხერხეთ და მანაც 11 ქულა აიღო, მაშინ, როდესაც ორჯერ დადგა მოწოდების ხაზზე.

მეორე სეტის ნახევრამდე წინააღმდეგობა გავუწიეთ. ვიგებდით კიდეც 11:10-ს და ამ დროს, როდესაც კიდევ უფრო წინ უნდა გავსულიყავით, მეტოქეს ქულა ვაჩუქეთ, შემდეგ კი ალბანელებმა ნელ-ნელა გაზარდეს უპირატესობა.

მესამე სეტის წაგება კი დანაშაულია! მთელი სეტი ვიგებდით, ბოლოს 21:18 დავწინაურდით. სწორედ ამ დროს, მოწოდებაზე დადგა სავა ჰაკა, რომელიც ძლიერი დარტყმით არ გამოირჩევა, მაგრამ ზედიზედ 5 ქულა აიღო და მატჩის ბედი გადაწყვიტა.

# 13 წლის ლუკა ალავიძე ჯუნიორ ნბა-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მოთამაშეებზე დაკვირვების შემდეგ, კემპის დასრულებიდან დაახლოებით 10 დღეში ორგანიზატორებმა არჩევანი გააკეთეს: ლუკა ალავიძე ევროპის საუკეთესო 10 მოზარდს შორის მოხვდა და ჯუნიორ ნბა-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი კონტინენტის ნაკრებში ითამაშებს.

მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც წარმოადგენს ამ ტიპის პირველ გლობალურ ახალგაზრდულ საკალათბურთო ტურნირს, მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს 70 ქვეყნიდან შერჩეული 14 წლამდელთა გუნდები. მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება პარალელურად – ცალკე გოგონათა და ცალკე ვაჟთა შორის. თითოეულ ტურნირში 16 რეგიონალური გუნდი იასპარეზებს, რომელთაგან 8 აშშ-ს, ხოლო 8 დანარჩენ მსოფლიოს (აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი, აზია პასიფიკი, კანადა, ჩინეთი, ევროპა, ინდოეთი, მექსიკა და სამხრეთ ამერიკა) წარმოადგენს. ამერიკის 8 გუნდი და დანარჩენი მსოფლიოს 8 გუნდი ცალ-ცალკე, ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ და გამოავლენენ თითო საუკეთესოს, რომელთაგან 12 აგვისტოს, ფინალურ მატჩში ნბა-ს მსოფლიოს ჩემპიონი გაირკვევა.




აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ელჩები იქნებიან მაიამი ჰიტის წევრი და ნბა-ს „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის სამგზის მონაწილე დუეინ ვეიდი და ლოს ანჯელეს სპარკსის ფორვარდი და ქალთა ნბა-ს ჩემპიონი კენდის პარკერი.

ახალგაზრდული კემპისა და შემდგომ, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის საჭირო მგზავრობის ხარჯებს დაფარავს ნბა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## მალიში ალბინოს გოგონას ამულეტისთვის თავი მოაჭრეს



მალიში ხუთი წლის ალბინოსი-გოგონა დედას მოსტაცეს და თავი იმისთვის მოაჭრეს, რომ ის ამულეტების დასამზადებლად გამოეყენებინათ.

ინციდენტი ქვეყნის დედაქალაქიდან 125 კილომეტრში მდებარე სოფელ ფანაში მოხდა. შეიარაღებული ხალხი შეიჭრა სახლში, სადაც დედას თავის ორ გოგონასთან ერთად ეძინა. ქალი ჯერ გამოეკიდა გამტაცებლებს, მაგრამ შემდეგ სახლში დაბრუნდა, რათა თავისი მეორე ბავშვი დაეცვა, რომელიც ასევე ალბინოსია.

– ჩვენ მას ყველგან ვეძებდით და ბოლოს მეჩეთის უკან ვნახეთ. მას თავი ჰქონდა მოჭრილი, – განაცხადა სოფლის მასწავლებელმა უმარ დიაკიტემ.

გაცოფებულმა ადგილობრივებმა დაწვეს სამხედრო პოლიციის ადგილობრივი განყოფილება, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს ბავშვის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა.

– ჩვენ მოვითხოვთ სამართლიანობას. მათ მისი თავი წაიღეს. ეს რიტუალური დანაშაულია, – განაცხადა მამადუ სისოკომ, დასავლეთ აფრიკის ალბინოსი ადამიანების ასოციაციის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა. ის მიიჩნევს, რომ მსგავსი დანაშაულების მკვეთრი ზრდა რესპუბლიკაში მომავალი არჩევნების ჩატარებას უკავშირდება, რომელიც 29 ივლისისთვის არის დანიშნული.

აფრიკაში ალბინოსების რიტუალური მკვლელობა გავრცელებული პრაქტიკაა.

## ექიმებმა გოგონას მისი „სუპერუკანალის“ გადიდებაზე უარი უთხრეს



ამერიკელმა მოდელმა პატრისიამ, მეტსახელად სუპერუკანალმა, აღიარა, რომ ექიმებმა უარი უთხრეს პლასტიკური ოპერაციის გაკეთებაზე, ვინაიდან მისი ტრაგიკულად დასრულების საშიშროება არსებობდა.

გოგონამ, რომელიც დღისით მეტალურგად მუშაობს, ხოლო საღამოს დიჯეიდ და მოდელად, განაცხადა, რომ ორი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა დუნდულების გასადიდებლად. პატრისიამ ცხიმის ინექციის გაკეთება რამდენიმე წლის წინ ლიპოსაქციის დროს გადაწყვიტა. მას ჯერ 1,2 ათასი კუბი სანტიმეტრი ცხიმი შეუყვანეს, შემდეგ კი კიდევ 900.

– ჩემი დუნდულების ზომით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მათი ფორმის შეცვლა მსურდა, ვინაიდან დაჯდომის დროს ბრტყელდება, – განმარტა გოგონამ.

თუმცა ექიმებმა უარი თქვეს მოდელისთვის ოპერაციის გაკეთებაზე, ვინაიდან თუნდაც ერთი უნცია (დაახლოებით 30 მილიმეტრი) ცხიმის დამატებამაც კი, შესაძლოა მისი დაღუპვა გამოიწვიოს.

– თუ ცხიმი ფილტვებამდე ააღწევს და მათ გადაკეტავს, სუნთქვას ვეღარ შეძლებთ და მოკვდებით, – განუცხადა პატრისიას პლასტიკურმა ქირურგმა ტერი დუბრაუმ.

## ზღვის ურჩხულმა მექსიკელები შეაშფოთა



მექსიკის სინალოას შტატის ქალაქ მასატლანის პლაჟზე აღმოაჩინეს ზღვის უცნობი არსების სხეული.

ზღვის არსების ნარჩენებს ადგილობრივი მცხოვრები ბეატრის მორალეს აკუნია სანაპიროზე სეირნობის დროს გადააწყდა. მისი განმარტებით, არსებასთან ახლოს არავინ მიდიოდა, ვინაიდან შორიდან ის გემის ბადეებს წააგავდა.

ქალმა არსებას ფოტოსურათები გადაუღო, ფეისბუქში განათავსა და ინტერნეტ-მომხმარებლებს კითხვა დაუსვა, თუ რა არსებასთან ჰქონდა საქმე. კომენტატორების აზრები გაიყო. ერთნი ვარაუდობდნენ, რომ ეს მურენა იყო, მეორენი თვლიდნენ, რომ ის ზღვის გველი იყო. თავის მხრივ აკუნიამ ჩათვალა, რომ ეს მურენა იყო, რომელიც ზღვის სიღრმეში ბინადრობს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 22 მაისისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის, საქმიანი შეხვედრებისათვის. თქვენი თვალსაზრისი დაიცავით. **კურო** – დღის პირველ ნახევარში სურვილები გისრულდებათ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. **ტყუპები** – კომერციულ სფეროში აქტიურობა გამართლებულია. მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დღის რეჟიმს ნუ დაარღვევთ. შესაფერისი პერიოდია საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **ლომი** – ფინანსურ პრობლემებს იოლად მოაგვარებთ. გარისკვა დღეს დაუშვებელია. **ქალწული** – ნებისმიერი კონტაქტი გაამართლებს. საღამოს ეცადეთ, დაისვენოთ მყუდრო, მშვიდ გარემოში. **სასწორი** – უცნობ ადამიანებს ერიდეთ. მათგან წამოსული აგრესია გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. რეპუტაციას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კონფლიქტური დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში კეთილგონიერებას მოუხმეთ. **თხის რქა** – სამსახურში დაძაბული სიტუაციის განმუხტვას მხოლოდ სიმშვიდითა და კეთილგანწყობით მოახერხებთ. სხვების ინტერესების გათვალისწინება მოგიწევთ. **მერწყული** – საქმის გარჩევებსა და რადიკალურ ქმედებებს ერიდეთ. მკვეთრი გამონათქვამები არ იხმაროთ. **თევზები** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. თქვენი პოზიტიური განწყობა გადამდებია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველი სუმოისტი, იმპერატორის თასის მფლობელი; 2. მეთევზეთა, მეზღვაურთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 3. შემინული აივანი; 4. არგენტინის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 5. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 7. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 13. წითელ ღვინოში ჩამბალი პურისგან მომზადებული შეჭამანდი; 15. „ტურ-დე-ფრანსი“-ს მრავალგზის გამარჯვებული ბრიტანელი ველომრბოლელი; 16. „ფიატის“ ფირმის მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 18. ქართველი უფოლოგი; 19. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში.

**თარაზულად:** 6. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისთვის ძველ საბერძნეთში; 8. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 9. ირლანდიის დედაქალაქი; 10. რაიონული ცენტრი სამცხე-ჯავახეთში; 12. იმრე კალმანის ოპერეტა; 14. რძის პროდუქტი; 17. ქართველი კომპოზიტორი ქალი; 20. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 21. ისტორიული ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 22. ქართული ტელეკომპანია; 23. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ესპანეთი; 6. სტანდარტი; 9. აქციზი; 10. ნიანგი; 11. ლინზა; 13. მარტი; 15. მაგიდა; 18. არაკი; 21. ტრამპლინი; 22. ემბარგო; 23. ნამგალი.

**შვეულად:** 1. ასპექტი; 2. „მიმინო“; 3. პარაგვაი; 4. მინიმალი; 7. თითლიბაზი; 8. კრიპტონი; 12. ფართინგი; 14. ვალტორნა; 16. ტრალერი; 17. ციტრონი; 19. პინა; 20. სარი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სოლ; 2. იანკი; 3. დო; 4. ადამი; 5. რამლი; 6. პიანო; 7. რკალი; 8. აარე; 9. ტირი; 10. პომადა; 11. პაი; 12. ოლივიე; 13. ეტალონი; 14. აცე; 15. ავე; 16. კამეა; 17. ტუია; 18. ცეცე; 19. სია; 20. ვენა; 21. კალა; 22. რელე; 23. კეფირი; 24. კორო; 25. კოლონი; 26. ნიკ; 27. მაჟორი; 28. ალეპო; 29. ზერო; 30. ალო; 31. ზილი; 32. ეზო; 33. პი; 34. კიმონო; 35. პარანა.

**სურათებზე:** პეტა უილსონი; ალბერტო ჯილარდინო.

# 70 წლის მარინა ბერიძეს მომღერლებმა სიმღერა მიუძღვნეს



ქართულ მუსიკალურ სამყაროში ყველაზე მკაცრ ჟიურის წევრად აღიარებული მარინა ბერიძე 70 წლის გახდა. ზაზა შენგელიამ მისსავე ხმის ჩამწერ სტუდიაში „ბრავო რეკორდსში“ მომღერლები შეკრიბა და იუბილარს საჩუქარი გაუკეთა.

ოთო ნემსაძემ, სალომე ბაკურაძემ, გიორგი სუხიტაშვილმა, მარიკო ებრალიძემ, თიკა მახალდიანმა, ანი კეკუამ, გრიგოლ ყიფშიძემ, დათუნა მგელაძემ, ქეთი ორჯონიკიძემ და ალეკო ბერძენიშვილმა ბრავო რეკორდსში სპეციალურად მარინა ბერიძისთვის სიმღერა ჩაწერეს. მათ იუბილარისთვის „მარონ 5“-ის ერთ-ერთი ჰიტი შეარჩიეს და იუმორისტული ტექსტით კიდევ უფრო მხიარული გახადეს.

# ანუკი არეშიძე დედა მეოთხედ გახდება



დიზაინერი ანუკი არეშიძე დედა მეოთხედ გახდება.

ის და მისი მეუღლე კახი კალაძე გოგონას ელოდებიან. ინფორმაცია ინტერნეტში გავრცელდა.

ანუკი არეშიძეს და კახი კალაძეს 3 ბიჭი ჰყავთ – ლევანი, კახი უმცროსი და ვაჩე კალაძეები.

# რეზო ამაშუკელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ორდენით დააჯილდოვეს



პოეტი რეზო ამაშუკელი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ორდენით დააჯილდოვეს.

ჯილდო 81 წლის პოეტს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა და მისმა ხელმძღვანელმა გოგი დოლიძემ გადასცა.

შეხვედრა პოეტთან კინოს სახლში გაიმართა. როგორც რეზო ამაშუკელის შვილმა, ბაია ამაშუკელმა ჟურნალისტებს განუცხადა, მამამისს სიურპრიზი მოუწყვეს და პოეტმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

რეზო ამაშუკელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ორდენის რიგით მეცხრე მფლობელია.

# ნინი წიკლაურმა ამერიკაში საქართველოს და ამერიკის ჰიმნები იმღერა



მომღერალი ნინი წიკლაური წლებია ამერიკაში წავიდა და თავის საყვარელ პროფესიას უცხოეთში ემსახურება. ხანგრძლივი და თავდაუზოგავი შრომის შედეგად კი ნინიმ მიაღწია იმას, რომ საქართველოსა და ამერიკის ჰიმნების შესრულების პატივი ხვდა წილად.

**ნინი წიკლაური:**

– ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში უდიდესი დღეა. დიდი შრომის შედეგად უკვე ამაყად ვდგავარ ამერიკისა და საქართველოს დროშებს შორის, სადაც ვმღერი საქართველოსა და ამერიკის ჰიმნებს. ეს ყველაზე დიდი შეგრძნებაა, რაც კი ოდესმე მქონია.

მადლობა საქართველოს გენერალურ საკონსულოს და გენერალურ კონსულს, ქალბატონ დიანა ჟღენტს და ეკა ნინუას, რომ შემარჩიეს.

ვარ ბედნიერი, როცა ამდენი ადამიანის მადლობას ვისმენ... მადლობა უფალო.

## სამგლოვიარო განცხადებები

შორენა მარსაგიშვილს ვუსამძიმრებთ დედის

**ნანული ჩიღოელიძის**

გარდაცვალების გამო.

*„ახალი თაობა“*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# დათა თავაძე სახელოვნებო სფეროში ცენზურის წინააღმდეგია



რეჟისორი დათა თავაძე ახალ ინიციატივას ეხმაურება და სახელოვნებო სფეროში ცენზურას აკრიტიკებს:

– ალბათ, არ უნდა მტკიცება, რომ „ტროელი ქალები“ არ „ქადაგებს ომსა და ძალადობას“. სულ პირიქით. არადა იყო შემთხვევა, როცა აღშფოთებული მაყურებელი წამოხტა შუა სპექტაკლზე, რაღაც დაიყვირა, ხმაურით გავიდა და მერე ფოიეში ჩხუბობდა: „რა დროს ეს არის! იმის მაგივრად, მშვიდობისკენ მოუწოდებდეთ ხალხს, იმის მაგივრად შერიგებისკენ დგამდეთ ნაბიჯებს...“ და ა.შ. მან ჩათვალა, რომ ჩვენ „შურისძიებისკენ მოვუწოდებდით საზოგადოებას“, „ვქადაგებდით ომსა და ძალადობას“...

ასე წაიკითხა, იმიტომ, რომ წაკითხვა არ შეუძლია და ახალი კანონპროექტის მიხედვით, მას შეეძლება აგვიკრძალოს ამის კეთება.

როცა „ტკივილი არის ახალგაზრდობა“ დავდგით, ერთმა ძალიან ზრდილობიანად მითხრა: „თქვენ ხართ ავად!“

იმიტომ, რომ უკანმოუბრუნებელი ჰომოფობია და ახალი კანონპროექტის მიხედვით, მას შეეძლება აგვიკრძალოს „გარყვნილების“ პროპაგანდა.

სწორედ ასეთ მომენტებში, როცა „ფრეკენ ჟულიში“ ვეკითხებით მაყურებელს: „მოგწონვარ?“ და ისინი გვპასუხობენ: „არა, არ მომწონხარ!“, ან როცა აფიშებზე გვიწერენ „მოგი..ანთ ფემინიზმი ყ...ბოო“.

ჩვენ უფრო მეტს ვაკეთებთ: ძალიან ბევრს ვკოცნით ერთმანეთს, იმიტომ, რომ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ერთ ხელში ორმოცდაათ ღერ სიგარეტს ვიჭერთ და ყველას ვეწევით, სიგარეტის ბოლს ვაწვდით ერთმანეთს პირიდან პირში, ანთებულ სიგარეტს ერთმანეთს ენებზე ვაწვავთ და მერე ამ ენებს ვუკოცნით ერთმანეთს, სამმეტრიან კიბეებზე ვქანაობთ მაყურებლის თავზე ყოველგვარი დაზღვევის გარეშე, როცა ნებისმიერ წამს შეიძლება მოვკვდეთ და მაყურებელიც თან გავიყოლოთ და იქამდე ვეხეთქებით სცენაზე, სანამ კისრის მალა არ გაგვიტყდება – სცენაზე მოწევის ამკრძალავმა კაცმა რო თქვა „მართლა ხომ არ სვამთ სცენაზეო, მაშინ მართლა რატომ ეწევითო?!“ – მართლა ვეწევით და მართლა ვსვამთ...

და ახლა რა, ვეცადოთ არაფერი დავაშავოთ, ყოველი სპექტაკლის წინ წნევა გავიზომოთ და კარგად მოვიქცეთ, იმის შიშით – ვინმემ მოწევის პროპაგანდაში, პორნოგრაფიის პროპაგანდაში და ძალადობისკენ წაქეზებაში არ დაგვდოს ბრალი ერთ დღეს და არ დაგვხუროს?

ერთდროულად მახსენდება ფოთის თეატრის „ხალხის მტერზე“, „მკვდარ ქალაქებზე“ ატეხილი აჟიოტაჟი, რაღა დავმალოთ და პოლიტიკური სკანდალები და იქვე კანონპროექტის თანაავტორიც.

ხელოვნების ინტერპრეტაცია შეიძლება მრავალნაირად. ნუ გავიმეორებთ ძალიან ძველ შეცდომებს, ისევ ნუ ავკრძალავთ „ჯაყოს ხიზნებს“... არაუშავს თუ მაყურებელს ცოტა გვეშინია იმის, რასაც ვხედავთ და ოდნავ ეწინააღმდეგება ჩვენს შინაგან რწმენას ის, რასაც ვუყურებთ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვები და ფიქრი დავიწყოთ.

ჰაინერ მიულერი ამბობდა თეატრზე: „ვეფხვს გალიაში უყურებ და რატომღაც შენს ზურგსუკან გგონია“...

ასეთი ზოოპარკია...

# ქეთა თოფურია დემნა გვასალიას პლაგიატში ადანაშაულებს

„ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია ბალენსიაგას შემოქმედებით ხელმძღვანელს და ვეტმენტსის დამაარსებელს დემნა გვასალიას პლაგიატში ადანაშაულებს.

ქეთა ინტერნეტში ავრცელებს ფოტოს, სადაც მისი და დემნას კოსტიუმებია აღბეჭდილი და აცხადებს, რომ დემნამ მისი იდეა მოიპარა.

ქეთა თოფურია: ფოტოზე მარცხნივ ჩემი კოსტიუმია გაზაფხული-ზაფხული 2018 წლის კოლექციიდან, მარჯვნივ კი „ვეტმენტსის“ სრულიად ახალი კოსტიუმი. ჰმ, ვერაფერს იტყვი, კლასიკურად იპარავთ ჩვენგან – აბა სხვა რა უნდა ვთქვა...




ქეთას ბრალდებებს დემნას გულშემატკივრები გამოეხმაურნენ და დიზაინერს განუმარტეს, რომ ის ცდება:

– კეტი, დარაგაია მაია... მოსკოვების ფეშენში შეიძლება სხვანაირადაა, მაგრამ საერთაშორისო მოდის კალენდარი აშკარად არ გეთანხმებათ. სოფლელები არიან, არ ესმით... ვეტმენტსის კოლაბორაცია არის 2018 წლის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციიდან, რომელიც ვეტმოს ტრადიციულ კალენდარზე ადრე გამოაქვს. ტრადიციულად გაზაფხული-ზაფხული 2018 ჩვენებები დაიწყო 2017 წლის სექტემბერში. იწყება ნიუიორკით, შემდეგ ლონდონი, მილანი, ოქტომბერში პარიზი და მერე გადადის სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქებში, მათ შორის მოსკოვებში, სადაც კეტი კრასავიცა მაია, შენ წარადგინე გაზაფხული-ზაფხული 2018. ხოლო ვეტმომ გასულ წლის აპრილში დააანონსა, რომ ჩვენებას არ მოაწყობდა და სამაგიეროდ პარიზის მამაკაცის მოდის კვირეულის ფარგლებში ექნებოდათ პრეზენტაცია გაზაფხული-ზაფხული 2018-ის კოლექციის. პარიზის მამაკაცის კვირეული სექტემბერზე ადრე ტარდება, კერძოდ, 2017 წლის ივნისში. ვეტმენტსის გაზაფხული-ზაფხული 2018 გასული წლის 25 ივნისს იქნა წარმოდგენილი და 26-30 ივნისის ჩათვლით მოხდა ბაერების მიერ შეძენა. საერთაშორისო სისტემით, კოლექციები 6 თვის შემდეგ ეშვება გაყიდვაში, თუმცა ვეტმოს აქაც განსხვავებული მოდელი აქვს, ერთიანად არ აწვდიან. „დროფები“ დაყოფილი აქვთ ისე, რომ 1 წლის წინ გამოსული კოლექცია მთელი მომავალი 12 თვე ნაწილებად ეშვება გაყიდვაში. ხოლო სოციალურ ქსელში აპიარებენ მაშინ, როცა მომდევნო „დროფი“ ეშვება გაყიდვაში თითქმის 1 წლის წინანდელი კოლექციიდან.

# ნიკო ფიროსმანის გარდაცვალებიდან 100 წელი გავიდა



ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის გარდაცვალებიდან 100 წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სოფელ მირზაანში მდებარე ფიროსმანის მუზეუმში სტუდენტური კვირეულის დღეები დაიწყო.

სააგენტოს საგანმანათლებლო სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას 6 დღის მანძილზე პარტნიორის სტატუსით საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტები შეუერთდებიან, რომლებიც ცალკეული დღეების განმავლობაში საკუთარ თეატრალიზებულ სანახაობებსა და განსხვავებული შინაარსის მქონე პერფორმანსებს წარადგენენ.

შემოქმედებით აქტივობებს გამართავენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტუდენტებს პარტნიორობას გაუწევენ ახმეტის, თელავის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების ის მოსწავლეები, რომელთაც სააგენტოს მიერ „კულტურული მემკვიდრეობის დესპანების“ სტატუსი აქვთ მინიჭებული და აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო უწყების ორგანიზებულ ღონისძიებებში.

კვირეულის ფარგლებში ფიროსმანის თემაზე შექმნილ მხატვრულ ნამუშევრებს წარმოადგენენ დედოფლისწყაროს სამხატვრო და ხელოვნების სკოლების მოსწავლეები.

სტუდენტური კვირეულის დასკვნით დღეს კი თეატრალიზებულ სანახაობებსა და გამოფენებს მოაწყობენ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტები.

სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ თელავის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის მონაწილეებიც.

საკუთარ აქტივობებს წარადგენენ ფიროსმანის მუზეუმის თანამშრომლებიც.

მირზაანის სტუდენტური კვირეული 23 მაისამდე გასტანს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# ბუფონი პსჟ-ს მიუახლოვდა



იუვენტუსის უკვე ყოფილი მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი მზად არის, კარიერა გააგრძელოს და მის მიმართ ინტერესს რამდენიმე გრანდი გამოხატავს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბუფონი პსჟ-ს მეკარე გახდება და მხარეები თითქმის უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ.

ბუფონს ძალიან მაღალი ანაზღაურება ექნება და იტალიელმა მეკარემ ასეთ მაცდურ წინადადებაზე უარი ვერ თქვა. ოფიციალური განცხადება ამ ტრანსფერის შესახებ მალე გაკეთდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# რობერტ ლევანდოვსკი კარიერას ინგლისში გააგრძელებს



რობერტ ლევანდოვსკი დიდი ალბათობით მიუნხენის ბაიერნს დატოვებს და კარიერას სავარაუდოდ ინგლისში გააგრძელებს.

ლევანდოვსკის რამდენიმე გუნდი ეპატიჟება, მათ შორის ყველაზე მეტად ჩელსი და მანჩესტერ სიტი აქტიურობენ. მანჩესტერ სიტის დიდი ხანია ლევანდოვსკის ყიდვა სურს და შესაძლოა მანჩესტერელებმა თავიანთი სურვილი რეალობად აქციონ.

ლევანდოვსკი ბაიერნში 2014 წელს გადავიდა და ამ გუნდში 4 სეზონი გაატარა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 მაისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4423 |
| ევრო | 2.8773 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2925 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9332 |

**ამინდის პროგნოზი 22 მაისისთვის**




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი" დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი




-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით


## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას" თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## უსმან დემბელემ ტრავმა მიიღო



ბარსელონას ფრანგმა ფორვარდმა უსმან დემბელემ რეალ სოსიედადთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო, როდესაც ერთ-ერთ ეპიზოდში მეტოქე გუნდის ფეხბურთელი მას ძალიან უხეშად ეთამაშა. დემბელე მძიმე ტრავმას გადაურჩა, მაგრამ მას მაინც აქვს მცირე დაზიანება და მკურნალობა ესაჭიროება.

დემბელე მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზად იქნება. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ფრანგი ფეხბურთელი საკმაოდ ხშირად იღებს ტრავმებს და წელს ის უკვე რამდენჯერმე იმყოფებოდა ლაზარეთში.

დემბელე ბარსელონაში 2017 წლის ზაფხულში გადავიდა და კატალონიურმა გუნდმა მასში 105 მილიონი ევრო გადაიხადა.

## ალვარო მორატა და სერხი რობერტო მსოფლიო ჩემპიონატზე არ ითამაშებენ



ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხულიან ლოპეტეგიმ იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებენ. ამ სიაში ბევრი ცნობილი ფეხბურთელი ვერ მოხვდა, მათ შორის ალვარო მორატა, სერხი რობერტო და სესკ ფაბრეგასი. ლოპეტეგიმ ასევე არ უხმო მარკოს ალონსოს და ხავი მარტინესს, სამაგიეროდ ნაკრებში რეალის და ბარსელონას თითქმის ყველა ესპანელი ფეხბურთელია.

ლოპეტეგის ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია იმაზე, თუ რატომ დატოვა აღნიშნული ფეხბურთელები ნაკრების მიღმა.

## მესი: „გრიზმანს დიდი სიყვარულით შევხვდებით"



ლიონელ მესიმ ანტუან გრიზმანის ბარსელონაში სავარაუდო ტრანსფერზე ისაუბრა და თქვა, რომ გრიზმანს ბარსელონაში დიდი სიყვარულით შეხვდებიან. მესიმ დაამატა, რომ ამ ტრანსფერის დეტალები არ იცის:

— ზუსტად არ ვიცი, გადმოვა თუ არა გრიზმანი ბარსელონაში, რადგან ასეთ საკითხებში არ ვერევი, თუმცა მინდა ვთქვა, რომ გრიზმანი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და მას ყველა დიდი სიყვარულით შეხვდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გრიზმანის ტრანსფერი ბარსელონაში თითქმის გადაწყვეტილია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი



სამგლოვიარო პროცესია მიდის. გამვლელი ერთ-ერთ ჭირისუფალს აჩერებს და ეკითხება:
— ვისი გასვენებაა?
— ჩემი სიდედრის.
— რა დაემართა?
— კიბიდან ჩამოვარდა.
— ეტყობა, ძალიან კარგი ქალი იყო, ამდენი ადამიანი რომ მიაცილებს უკანასკნელ გზაზე.
— არა, ესენი კიბის რიგში დგანან.

●●●

შვილი მამას ეკითხება:
— მამიკო, გამოცდილება რა არის?
— გამოცდილება არის ის, რომ იღებ იმას, რომ ვერ მიიღე ის, რისი მიღებაც გსურდა.

●●●

ნიდერლანდების საზღვარზე მებაჟე ეკითხება ქართველს:
— ნიდერლანდებში თქვენი სტუმრობის მიზანი?
— მოწევა, ქალებში გართობა.
— ანუ ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერება.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორე ეკითხება:
— სექსი რა არის?
— სექსი არის საყვარელი ჰობი, რომლითაც ყველა ნორმალური ადამიანია დაკავებული.
— მთელი ჩემი ცხოვრება მარკებს ვაგროვებდი და არ ვიცოდი, ამას სექსი თუ ერქვა.

მუშაობის დაწყების მსურველი ტელეფონზე რეკავს:
— სამსახურის დაწყება მინდა.
— ახალგაზრდა, კრეატიული, ნიჭიერი ხართ?
— ამბიციური, საკუთარ თავში დარწმუნებული, ახალი იდეებით აღსავსე ვარ!
— და რაიმეს კეთება გეხერხებათ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმ

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 2. იამაიკის დედაქალაქი; 3. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 4. აეროპორტი რომში; 5. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 9. ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება; 11. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 12. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 14. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 18. საღებავების დასამზადებლად გამოყენებული მოხარშული ზეთი; 19. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა.

**თარაზულად:** 4. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 5. წაგრძელებული, უგუმბათო, სწორკუთხა ტაძარი; 6. ცნობილი იაპონელი ტრამპლინიდან მხტომელი მამაკაცი; 7. საფოსტო გზავნილება; 8. დაზვერვის თანამშრომელი; 10. ჰოლანდიური ყველი; 13. ულელტეხილის ქართული სახელწოდება; 15. გარეგანი ზემოქმედებით მიღებული სხეულის დაზიანება; 16. გემის სვლის სიჩქარისა და განვლილი მანძილის გასაზომი ხელსაწყო; 17. იტალიელი კომიკოსი; 20. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 21. არტურ რუბინშტეინის რუბინშტეინის ოპერა; 22. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დედამიწაზე დასაშვებად; 23. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

